ეროვნული
ბიბლიოთეკა

წითელი სხივი

№ 3

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

		გვერდი
1.	საბჭოთა საკავშირო მესამე სესია ტფილისში — დ. კარბელაშვილი	1
2.	თებერვლის რევოლიუცია — შ. შ—ი	3
3.	პარიზის კომუნა, ლექსი — მაყვალა-ზპირო	5
4.	გლეხის სიმღერა, ლექსი — დ. ელიოზიშვილი	7
5.	წითელი დროშა, ლექსი — დ. ელიოზიშვილი	8
6.	პარიზის კომუნა — შანი	9
7.	პარიზის კომუნა, ლექსი — კ. ლ—ძე	9
8.	ია და ქარი — დ. თურდოსპირელი	11
9.	პატარა კომუნარი — ს. ერთაწმინდელი	14
10.	ანრი დაუფური — დ—ანი	17
11.	უკვდავი კომუნარი — ლ. კარაპეტიანი	21
12.	დიდი დანაკლისი	21
13.	პიონერებს, ლექსი — ე. პოლუმორდვინოვი	23
14.	წითელი საქართველო, ლექსი — მ. გოგიაშვილი	23
15.	ქალთა საერთაშორისო დღესასწაული — ვასო შ.	24
16.	გაზაფხული — დ.	25
17.	შავი გედი — თარგ. დ. ან—ძე	26
18.	ადამიანის ბინის ისტორია — დ. ანთაძე	28
19.	სამკედლოში — მუსიკა ა. ფარცხალაძისა, ლექსი — ი. ვაკელისა	32

899-962-1(05)
ნ-63.

ნაბიჯი...

1925 მარტი

[illegible] ... ინტერნაციონალის [illegible] ... ინტერნაციონალის [illegible] ... ინტერნაციონალის [

ეროვნული ბიბლიოთეკა



ამხ. კალინინი.

რ. ს. ფ. ს. რ. საკავშირო ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის (ცაკის) თავმჯდომარე.



ამხ. ზ. ი. პეტროვსკი.

საბჭოთა კავშირის და უკრაინის სოც. საბჭოთა რესპუბლიკ. ცაკის თავმჯდომარე.

ჩ ვ ე ნ ი ს ტ უ მ რ ე ბ ი

სად მომხდარა ეს, როდის?

იცოდა როდისმე და სადმე ბურჟუაზიამ ძმურად, ერთი ოჯახში დაკავშირება სხვადასხვა ნაციებისა? თუ ხელოვნურად ამაღიმდა ის შუილს, კინკლაობას მონათესავე ერთა შორისაც კი?

იქნებ მენშევიკებმა შეარიგეს სხვადასხვა ხალხნი, მათ დასაკავშირებლად გადადგეს ნაბიჯები? რასაკვირველია, არა.

ყველას გვახსოვს 1918—1919 წლები: ჩვენ სომხებს ვებრძოდით, ოსები ჩვენ, სომხები თათრებს, და საქართველო კვლავ სისხლის კალოდ იყო გადაქცეული.

დღეს კი... დღეს ძმურის სალამით ხვდებიან ერთმანეთს: ბელორუსია, ციმბირი, უკრაინა, თურქესტანი, სომხეთი, აღერბეიჯანი, საქართველო, ოსეთი და სხვ.

აი, ისტორიაში ჯერ გაუგონარი ფაქტი, რომელიც ყოველ კეთილშობილ ადამიანს ქმაყოფილების გრძნობას აღუძრავს.

დღეს საქართველო დიდს, გემრიელს ლუკმას წარმოადგენს ევროპის მტაცებელ კაპიტალისტებისათვის, მაგრამ აქვე, საქართველოში, მის დედაქალაქ ტფილისში დამტკიცდა მარტის პირველ რიცხვებში, რომ მან ერთხელ და სამუდამოდ შეჭაქცია ზურგი მათ და თუ იგი აქმდის ევროპისა და აზიის შემაერთებელი ხიდი იყო და ამით ხელს უწყობდა, რომ პირველს მეორე დაეჩაგრა, ის დღეს ძმურად აერთებს საბჭ. სოც. რესპუბლ. კავშირის მშრომელებს.

მარტის სესიაზე ერთხელ კიდევ გამოირკვა ის ტკივილები, რომელიც მშრომელს აქვს; მათ გაუზიარეს ერთმანეთს თავისი ჭირ-ვარამი, ჩაიხედეს ერთმანეთის გულში და ურთი-ერთს შეჰფიცეს მუდრო კავშირი მომავალშიც.

აქ იყვნენ საუკეთესო მებრძოლნი მშრომელ მუშა-გლეხის ინტერესებისა: „ბერი მინდია“—კალინინი, ლენინის მემკვიდრე რიკოვი და სხვები.

დე, ევროპაში კაპიტალისტებმა და მენშევიკებმა თავისი შავი განზრახვების ათასნაირი გეგმები დაწყონ მშრომელთა წინააღმდეგ,—აქ კი დუღბით დაუკავშირდებიან ერთმანეთს მშრომელნი.

ვინ ვის აჯობებს, დრომ გვიჩვენოს, მხოლოდ, შენც, ჩემც „მზად იყავი“ ახალგაზრდავ, ჩვენო მომავალო, პიონერო!

გამოიწოფე, ისწავლე, საქმეს ღრმად ჩაუკვირდი, დარწმუნდი, რომ შრომაა, საკუთარი შრომაა თავდები უკეთესი მომავლისა; ჩაები მთელი შენს ენერგიით მშრომელების საქმეში და მუდამ, ყოველთვის „იყავ მზად“.

დავ. კარბელაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ამხ. ა. ბ. ჩერვიაკოვი.
ბელორუსიის ს. ს. რ. ცაკის და სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე.

ამხ. ს. გუდიონი.
პირველი ცხენოსანი არმიის მთავარსარდალი და ცაკის კომიტ. წევრი.

ჩვენი სტუმრები

თებერვლის რევოლიუცია

ხანგრძლივად და მეფგრად იბრძოდა რუსეთის მუშათა კლასი, რომელსაც ხელმძღვანელობდა კომუნისტური (ბოლშევიკური) პარტია, მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, განიცდიდა დამარცხებას, მაგრამ არ ნებდებოდა, არ ჭარიდა იარაღს.

1917 წლის 23 თებერვალს გაისმა რუსეთში ელვა-ქუხილის პირველი გრიალი.

რუსეთის მუშათა კლასის აუტანელ ყოფა-ცხოვრების მოღუშული ჰორიზონტი გაიკისკროვნა პირველმა ციგამ დიდი რევოლიუციონური ელვა-ქუხილისამ, რომელმაც ძირიან-ფესვიან დაანგრია რუსეთის თვითმპყრობელთა ტახტი. ოცისა და შიმშილისაგან განაწამები მუშები გამოვიდენ ლენინგრადის (მაშინდელ პეტროგრადის) ქუჩებში მოთხოვნით — „პური!... პური!...“ წამოაყენეს რა ეს მოთხოვნა, მუშები სრულიად ნათლად ერკვევოდენ იმაში, რომ შიმშილსა და სასურსათო უწესოებას განუყოფელი კავშირი აქვს მეფის წყობილების ყველა წესებთან, ამიტომაც პირველ დღეებიდანვე მუშათა მოძრაობა მეფის წინააღმდეგ იქნა მიმართული.

1917 წ. 23 თებერვალს ლენინგრადი არაჩვეულებრივ სანახაობას წარმოადგენდა: ქუჩები და მოედნები ხალხით იყო გაჭედილი. მუშაობა რაზმები რევოლიუციონური სიმღერებით მიეშურებოდენ სხვადასხვა ადგილებისაკენ. გამოჩნდა წითელი დროშებიც — ეს მახარობელი დიდი რევოლიუციისა.

მუშების მოძრაობამ მეფის შინაყმებს, — მემამულეებს და კაპიტალისტებს, — შიში მოჰგვარა. ისინი გაიძახოდენ: „უმჯობესია ფრონტზე დამარცხება, ვიდრე რევოლიუციაო“. რევოლიუციის შიში ყველაზე უმალ მსვლელმა მემამულეებმა იგრძნეს. სახელმწიფო საათბიროს თავმჯდომარე როდზიანკომ, რომელიც დიდი მემამულე იყო, წინადადება მისცა მინისტრთა საბჭოს თავჯდომარეს გოლიცინს (ისიც დიდი მემამულე იყო), მოეწვია „სასწრაფო სხდომა, რომელიც გამოიმუშავებდა ზომებს სატახტო ქალაქის მცხოვრებთა და პირველ რიგში თავდაცვის საჭიროებისათვის მომუშავე წარმოებათა მუშების სურსათ-სანოვაგით დასაკმაყოფილებლად“.

მაგრამ უკვე გვიან იყო.

რევოლიუციონური მოძრაობა საათობით იზრდებოდა. სასურსათო საკითხი, რომლის გადასაწყვეტად მინისტრები თავს იმტკივნეოდენ, უკვე მეორეხარისხოვან საკითხად იყო აღიარებული; ამ საკითხმა ადგილი ხალხის პოლიტიკურ მოთხოვნებს დაუთმო.

მეორე დღეს, 24 თებერვალს, რევოლიუციონურმა მოძრაობამ „მთლად ხალხური ხასიათი“ მიიღო. პირველი შეტაკება ამ დღეს მოხდა პოლი-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამხ. ჩიჩერინი.

ს. ს. რ. კ. გარეშე საქმეთა სახ. კომისარი.

ამხ. კუიბიშევი.

ს. ს. რ. კავშირის მუშათა და გლეხთა ინსპექც. სახ. კომისარი.

ჩვენი სტუმრები

ციასთან. „გოროდოვოვები“ ჯერ ხმლებით დაერი-ვნენ ხალხს, შემდეგ სროლაც დაუწყეს. ლენინ-გრადის ქეფენილები დიდი რეიოლიუციის პირველი მსხვერპლის სისხლით მოიწყო. მუშებმა ამ შეტაკებაში რამოდენიმე ათეული ამხანაგი დაკარ-გეს. მიუხედავად ამისა, მუშები მაინც ბრძოლას გა-ნაგრძობდენ. მთავრობა ყოველგვარ ზომებს დებუ-ლობდა მათ დასამორჩილებლად. მაგრამ „მიდებუ-ლი ზომები“ საქმეს ვერ შველიდა, მოძრაობა სწრაფად იზრდებოდა. 26 თებერვალს ლენინგრა-დის ქუჩები, მიუხედავად პოლიციელთა ტყვიის-მფრქვევთა ცეცხლისა, დილიდანვე გაივსო ხალხით. ამ დღეს მუშები ორგანიზაციულად გამოვიდენ ქუ-ჩებში. მათ წინ მოჰქონდათ წითელი დროშები შემ-დეგი წარწერით: „ძირს თვითმპყრობელობა... გაუ-მარჯოს რესპუბლიკას“. ჩასაფრებული პოლიციე-ლები დემონსტრანტებს ტყვიებით გაუმასპინძლდენ. ხალხი სხვადასხვა მხარეს გაიქცა. დემოსტრანტები სახლების კედლებს და ჭიშკრებს ეკვროდენ, თო-ვლში ვარდებოდენ, ლამობდენ ადგომას და გა-ქცევას, მაგრამ ამაოდ.

„ხულიგნების“ (როგორც აჯანყებულ ხალხს უწოდებდენ მეფის მინისტრები) დასამორჩილე-ბლად კაზაკები გამოგზავნეს. მაგრამ ხალხის დარ-ბევის მაგივრად, იმათ პოლიციას აუტეხეს სროლა. პოლიციელები გაიქცენ. კაზაკებს შემდეგ სხვა ჯარმაც მიჰბაძა. მთელი რიგი პოლკებისა გადაე-და ხალხის მხარეზე.

12 (ახალი სტილით) მარტს უკვე საბოლოოდ ძირს დასცეს მეფის ტახტი აჯანყებულმა მუშებმა და ჯარისკაცებმა.

12 მარტსვე ღამით არჩეული იყო სახელმწი-ფო სათათბიროს დროებითი აღმასრულებელი კო-მიტეტი და მუშათა დეპუტატების სობჭო, ხოლო 15 მარტს მთელი ძალა-უფლება დროებითი მთა-ვრობის ხელში გადავიდა.

შ. შ—ი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნარიმან ნარიმანოვი.

ს. ს. რ. კ. ცაკის თავმჯდომარე (ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების წარმომადგენელი).

ამხ. ა. ენუქიძე.

ს. ს. რ. კ. საკავშირო ცაკის მდივანი.

ჩვენი სტუმრები

პარიზის კომუნა

(ისტორიული ჩონჩხი)

ო, უდიდური იმპერატორი —
ლუი — ბონაპარტ —
და
სედანი...
პრუსიელების მაგარი ტორი
პარიზის
ყელზე
მიბჯენილ დანით..
საფრანგეთის მზის
ანკალი
ბრძოლის ველზე
და —
ალი
ჭეშის
ტარგადამტვრეულ დროშებს.
ძირს...
დამარცხება...
ფაფარნაყარი
ჭეშის
ქარი,
და
უკან მოდიან
დაღლილი
ლეგიონები...
ტყვეობა ..
ბურჟუაზია
ქვეყანას ჰყიდის...
არისტოკრატია
მტრის
შესახვევრად
მიდის,...
მუხლს იყრის...
წელში იღუნება. .
ქეიფი, დღეობა...
ფრანგ მშრომელს
ღიმილი
უქრება
ტუჩებზე
და
ტანჯვა მის ხვედრად
აღიმართება...
გამოდის ქუჩაზე
ურჩი მაყარი
და...
აჯანყება!
რევოლიუცია...
ყივილი:
— ბარიკადებზე!
— შეიარაღდით!
წითელფუნჯა ბაირაღები...

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავგანწირვა...
კომუნა.
პარიზი, ანკი სპასალარი,
და
მარადიული ძახილი
თავისუფლების დაცვად...
მმართველ წრეების შეძრწუნება...
ძველი საფრანგეთი,
განმზადებული
დაწვად
კოკონზე...
აჯანყებული ხალხი..
ჰუმანიური კომუნარები:
დელეკლიუზ, ვარლენ,
ლუიზა მიშელ
და მრავალი სხვა...
წითელი იერი
ახალ ფონზე...
რისხვა...
მუშები მახვილით...
ელვა...
ნაციონალური გვარდია
კომუნართ ნიშნით...
ფედერალები...
პარიზის ღელვა...—
მარა,..
ვერსალი —
გაქცეულ ტიერით...
მარკიზ დე-გალიფე ..
შავი გენერლები
უამრავ ჯარებით...
შეტევა პარიზზე...
ძლევა
და
საშინელი
შურისძიება...
— დაკოტრილი ხელები?
— ჰმ!..
— მუშა?!

— დახვრეტა!!!
პერ-ლაშეზ...
კედელი...
ტყვია...
— გაუმარჯოს კომუნას!
და...
ლამაზი სიკვდილი...
კომუნა სისხლში სცურავს...
გუშინდელ სატვარელ პარიზს
დღეს ნისლი ჰბურავს...
გადაითვალა წელთა კრიალოსანი
გიე საუკუნეებზე
და
აიგრიხა
ჯვარცმის მხილება...
მსოფლიოს მეექვსედ ნაწილზე
იშექა კომუნამ, უფრო ძლიერმა,
და
დაიკვნესა კუბოში ტიერმა...
დაიწყო ახალი შეტევა —
სამყარო ზანზარებს...
შრომის მეუფების სამრეკლოზე
გამარჯვების რეკავენ
ზარებს...
და
მოწიწებით თავს იხრიან
კომუნის პირველ მსხვერპლთა
საფლავზე...
გაისმის ჰიმნი,
და
ჩაქურ-ნამგლის გვირგვინში
წითელი ლროშები
ისწორებენ
კალთებს
ბუთქიმა ვარსკვლავზე,
რომელიც ახალ ცხოვრების ხეივანში
თავისუფლების
ჩირაღდნებს
ანთებს...

მაყვალა-ზაირა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გლეხის სიმღერა

ხელში თოხი მიკიჭავს,
ვდგევარ ნაფუძარშია;
შუბლით ოფლი გადმომდის,
სისხლი მიდუღს ძარღვშია.

ვთოხნი მიწას გულადად,—
ბელტს ვაბრუნებ ბელტზედა.
სიმინდს პირი მოუჩანს,
ჩემ წვრილ-შვილის ბედზედა.

ვმღერი ახალ სიმღერას
ახალ ცხოვრებაზედა;
ჰანგებს ვაწყობ გლეხების
თავისუფლებაზედა.

უწინ ჩემი ნაშრომი
სხვას მიჰქონდა წყეულსა,
მე კი მკლავდა შიმშილი
ძონძში გამოხვეულსა.

ახლა შრომა ბატონობს,—
ამ დროს ვენაცვალები,—
სიხარულით ვურტყავ თოხს,
არ მეღლება მკლავები!

საღამომდე დილიდან
ვდგევარ ნაფუძარშია;
შუბლით ოფლი გადმომდის,
სისხლი მიდუღს ძარღვშია.

დ. ელიოზიშვილი.

წითელი დროშა.

წითელი დროშა
თავისუფლების
მზის სხივზე ბრწყინავს,
ლაღად ფრიალებს,

გუშაგს მშრომელთა
მედგარ ბრძოლისა,
ტანჯულთა სისხლი
ჩამოსწკრიალებს!..

ის ბარიკადებს
თავს დასცქეროდა,
როს მუშა ხალხი
მეფეს ებრძოდა,

მუდმივი იყო
თანამავალი,
როს პროლეტარმა
გაკაფა კვალი,

ეკვეთა მტარვალს
აღშფოთებული,
ლახვრით გაუპო
მას ბილწი გული.

მუშათა ხალხის
ყოველ ზეიმში
წითელი დროშა
ახლაც ფრიალებს

და მის კუთხეში
ამოქარგული
ნამგალ — ჩაქუჩი
იზიდავს თვალებს!..

მუშა და გლეხი
შეერთებული
აღარ დაუთმობს
მყეულფავ—მტარვალებს!...

წითელი დროშა
თავისუფლების
მზის სხივზე ბრწყინავს,
ლაღად ფრიალებს,

გუშაგს მშრომელთა
მედგარ ბრძოლისას,
ტანჯულთა სისხლი
ჩამოსწკრიალებს.

დ. ელიოზიშვილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პარიზის კომუნა.

„რაც არ უნდა მოხდეს, ძმებო და დედა, თქვენი საქმე არ დაიღუპება, რადგანაც იგი მუშათა მსოფლიო განთავისუფლების საქმეა“.

ენენგის „მიმართვიდან—პარიზის მუშებს“.

„არა, თქვენ არა ხართ ყაჩაღთა, მკვლელთა და მცარცველთა ბრბო! თქვენ მოწინავე რაზმი ხართ იმ ჯარისა, რომელიც უკვე ამხდრებულია მსოფლიოს განთავისუფლების საქმისათვის“.

ჰანოვერის სამთანხიან მუშათა მიტინგზე მიღებულ მიმართვიდან საფრანგეთის მუშებს“.

მუშათა კლასმა გადაიტანა უსასტიკესი ბრძოლების გზები, გზა დამარცხება—გამარჯვე ისა, რის შედეგადაც ბოლოს მიიწია დღეანდელ მდგომარეობამდის, როცა მას მ

ცდელ და შეურყეველ ხელით უპყრია დედამიწის მეექვსედი ნაწილი. ამ ეტლით და ს

ბურჟუაზიამ კომუნართა მიმართ—პარიზის კომუნის მონაწილე არტურ არნუ:

„მე ვილაპარაკებ კომუნის წამებულებზე. რამდენი იყვენ ისინი?—ვინ ჩამოთვლის...

ჭკითხეთ ამის შესახებ პარიზის ქვაფენილებს, ლაბოს ყაზარმის მიტრალიეზებს, ლიუქსემბურგის ბაღს, შომონის მაღლობებს, ბატლეს, პერ ლაშეზის სისხლით შეღებილ აკლდამების ლოდებს (ადგილების სახელწოდება პარიზში), **სასაფლაოდ გადაქცეულ ამწვანებულ ბაღნარებს, საიდანაც ახლად მოწაფაყრილი სამარიდან მოისმოდა ღამღამობით ცოცხლად დასაფლავებულთა გულშეზარავი კვნესა!..**

სისხლი რუებად დიოდა... მდინარე სენის ტალღები წითლად შეიღებ! დახოცილთა გვამები ქუჩებში ეყარა მრავალ ათას კვადრატულ მეტრის მანძილზე ერთმანეთზე დაწყობილ ფენებად. ვერსალის ზარბაზნების ბობრბლები გათხუნვლი იყო შემშრალი სისხლით და ადამიანის ტვინის ნაკუწებით. 15 დღის განმავლობაში სწარმოებდა ხოცვა-ყლეტა. პარიზი უზარმაზარ სასაფლაოდ გადაქცა...

არაფერი დაზოგეს კაპიტალისტებმა თავიანთ ზეიმისთვის: ხოცავდენ ქალებს, მოხუცებულთ და ახალგაზრდებს, დედებს ბავშვებით, ბავშვებს უდედოდ, დედებს უბავშვოდ, და, რაც უფრო ასიამოვნებდა ჯალათებს, ხვრეტდენ უიარაღოებს, მოხუცებულებს, ავადმყოფებს, მომაკვდავებს; დაჭრილებს შუბებზე აგებდენ და საავადმყოფოს ფანჯრიდან სისხლიან მდინარეში ისროდენ, როგორც ლეკვებს“.

დიახ, ასეთი მშვენიერება იყო!

ბურჟუაზიის კეკლუცი ქალები თავიანთ ქალგის წვერებს შეეყოფდენ ხოლმე, ოარებში ჯერ კიდევ ცოცხალ დაჭრილთ...

„პარიზის ჟურნალ“-მა 1871 წლის 5 ივლისს თარიღით შემდეგი საუბარი დაბეჭდა:

რა უფრო გინდათ, ბავშვებო, ეკითხება დედა თავის ქალაშვილებს,—ნანგრევების თუ დახოცილების ნახვა!

— ოოჰ, ერთისაც და მეორისაც, დედილო, ერთისაც და მეორისაც! ..

— მაშ კარგი. ჯერ ჩვენ წავიდეთ დახოცილების სანახავად, მხოლოდ საუზმის ჭამა კი დაგვიგვიანდება.

— არა უშავს, დედილო, ჩვენ თან წაიღებთ პურის თითო ნაჭერს...

— კარგი. და თუ მე ძალიან არ დავიღალე, ჩვენ წავალთ ხანძრის სანახავად. ეს იქნება დესერტის მაგვარი.

და ქალებმა სიამოვნების ნიშნად ტაში დაჰკრეს...

ასე დაასრულა თავისი არსებობა და ბრძოლა მუშა-ა პირველმა თავარრამ, პარიზის კომუნამ. მართალია, ის ვანაადგურეს, მოსპეს, მაგრამ მისი დაწყებული საქმე არ მომკვდარა. მისი მემკვიდრე შეიქმნა რუსეთის 1917 წ. ოქტომბრის რევოლიუცია, რომელმაც დაამხო კეკეულ ერების ერთ მეექვსედ ნაწილზე ბურჟუა—კაპიტალისტების ბატონობა.

საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელი ხალხი არასდროს არ დაივიწყებს თავის ძვირფას წინაპარს და ყოველი წლის 18 მარტს მოიგონებს მის დიდ სახელს.

შანი.



პარიზის კომუნა.

გათავდა ბრძოლა.
მძიმე ღამე დაეშვა მიწას....
ბარიკადებზე, სადაც იყო სიცოცხლის ღელვა,
ახლა დუმილი სასაფლაოს
და გლოვა იცავს;
გააქრეს სადღაც დაგროვილი რისხვების ელვა,
და მხოლოდ ქარი
თუ მოიტანს დაჭრილთა კვნესას,
ან მამის ვეამზე
სადმე
შვილი თუ დაიკივლებს,
ანდა
მშობელი
სასახლეებს თუ წყევას ესვრის.....
ისევ დუმილი საშინელი
კეტავს ტკივილებს...
კომუნარებო!
რამ გაგიქრთ სიცოცხლის ბრუნვა!
კომუნარებო!
ვინ შეგაშროთ ტუჩზე ღიმილი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

დილით ხომ გულებს გინათებდათ
თქვენ მზე—კომუნა,
დილით ხომ გული
თქვენ დაგქონდათ მზესავით თბილი.
ახლა კი რატომ
ნაფოტივით ჰყრიხართ მიწაზე?
მჩქეფარე სისხლის ნაკადებით
აავსეთ ველი
იმისთვის მხოლოდ,
ის ცხოვრება
რომ არ იწამეთ,
რომელსაც სურდა მოგხვეოდათ გარს,
როგორც გველი.
თქვენ დაილუპეთ ამ ბრძოლაში...
ო, ძმებო, გსურდათ
თავისუფლება სანატრელი,
მჩაგვრელთ დაცემა,
და ახლა სისხლში,
დახოცილნი,
სცურავთ და სცურავთ...
იქ კი სასახლეს
მეჯლისი აქვს და აღტაცება!
ვინც კი გადარჩა,
ჯურღმულებში ათევენ ღამეს
ჩუმ მოლოდინით,
როს ნაჭოჰკრავს განთიადს ზარი:
ეშაფოტებზე დაითვლიან სიცოცხლის წამებს
და უკანასკნელ ამოძახილს
გასტყორცნის ქარი
სარა-სასახლეებს და დუმილით შემოსილ ქალაქს,
ძირს
ბნელ სარდაფებს
და ველებზე გადაშლილ ქოხებს:
„ძველო ქვეყანავ!
შენ მოგხსნიან შმორიან ქალას!
ჩვენზე ძლიერი
შენს სიცოცხლეს მიწიდან მოხევს;
ჩვენ ვილუპებით,
გადაუტყდა მებრძოლ ნავს აფრა,
ჩვენ ვილუპებით,
ქარიშალში სიკვდილი გვარწევს...
მაგრამ იცოდეთ:
ჩვენი გული ქარსავით აფრენს
იმედს,
რომ ხალხი
დღეს დაცემულ დროშას მხნედ ასწევს!..

კ. ლ—ძე.

(პარიზის კომუნარების ხსოვნას)

— რა ვქნა, რას ამეკვიატე, ქარო?—უსაყვედურებდა ია ქარს.

ვერა გამიგია რა შენი.

ხან მოალერსე ხარ, დამყვავებელი...

ნაზი სახელითაც კი დგაჯილდოვეთ...

სიოს გეძახით...

ხან კი დაჰფეთიანდები...

სულ ჰზუი ..

ჰზუზუნებ...

ჰბამბარუზობ...

რა დიდი სიცოცხლე მაქვს!..

ძლივს თოკლს თავი დავაღწიე...

ძლივს ვიხილე მზე...

შენ კი მიკაწრავ და მიფარეგ ფოთლებს, თითქოს ზღარბის ეკლოვანი კანი ხელთათმანებად ჩაგეცვას და იმითა მჩხვლეტდე ..

მთელი ყიამითი ღამის განმავლობაში შენს ოცნებაში ვიყავი...

მოვა ჩვენი სიო მეთქი — ესასოებდი მე—და მოგვიტანს სათბოს... სიხარულს...

გადმოგვცემს სალამს შორეულ მდელოებისას...

რა კარგ ამბებს გვიამბობ ხოლმე...

ჯერაც ნანინად წკრიალებს ყურში შენ მიერ ნაამბობი...

ტკბილ ზღაპარსავით დამანახსოვრდა...

შენ მეტიტინებოდი:

— შორს, შორს, მთის მწვერვალზე ჰყვავის ნარგიზი...

ჰყვავის და ოცნებობს შენზე...

მე ამის გამგონე ნეტარებით აღვივსე...

დავნაღვლიანდი კიდეც...

ვერასოდეს ვეღირსები მისკენ გაფრენას...

— ახ, ნეტავი შენ, პეპელავ, ფრენა შეგი ძლია!...—შეენატრე მაშინვე პეპელას...

— კი, მართალია, მართალი, შენი ნათქვამი, ჩემო ია!..—მიუგო ქარმა და ღრმად ამოიოხრა...

ცვალებადია ჩემი სულის მოძრაობა...

მე, უეჭველია, მოლხენილი ვარ, როცა თქვენ შორის ვიმყოფები...

მე მაშინ გარკვევით მესმის, რას მეეულურტულებიან ნაკადია... ვარსკვლავები... ან თქვენ რას ეჩურჩულებით მათ...

მაგრამ...

— რა მაგრამ?..

— მაგარიც ის არის, ჩემო მეგობარო, რომ ცხოვრება ყოველთვის ისეთი მომხიბლავი არ არის, როგორც ვეჩვენება შენი ბუჩქის სიმაღლიდან...

იცოდე, ძვირფასო, რომ ყვავილების გარდა არსებობენ ადამიანებიც... ტანჯული და მტანჯველი ადამიანები...

როცა ყვავილთა შორის ვფრენ, მაშინ ვმხიარულდები... ვკასკასობ... მაგრამ საკმარისია სოფლისკენ გადავუხვიო, რომ მყის ჯავრით მომენისლოს ფიქრები.

ესეც კი უნდა გითხრა, რომ არც იქა ვარ სრულიად უმეგობრო...

ადამიანთა შორისაც მყავანან მოყვასები...

ზოგს ვუმღერი სიმღერას თავისუფლებისას... გამარჯვებისას...

ზოგს კი დამარცხებისას... სიკვდილისას...

უფრო ხშირად ეიფელის კოშკზე ავიკრები ხოლმე...

კუდანივით დავტრიალდები და ვუკითხავ მოზეიმე ბურჟუაზიას სიკვდილის ჟამნებს...

მანე... თაკელ... ფარეს!..
ძრწოდეთ, ვალტასარნო!.. ძრწოდეთ!...
ახლოდება თქვენი ალსარული...
ჩამოთვლილია თქვენი დღეები...
პანტა-პუნტით ცვივიან ვვრგვინები...
ყვავ-ყვავარ იმსხვრევა იმპერიალისტური მსოფლიო...
ეშინია... ეშინიათ იმათ ჩემი მოძახილის...
ისინი ჩაიკეტავენ კარებს... ურდულს გადუგდებენ...
გაიჩაღებენ მუსიკას...
ცეკვავენ თავბრუდამხვევად: ტანგოებს... ფოკსტროდებს..
ამითა ჰსურთ დამუარონ, არ გაიგონონ ჩემი ზარილი...
ხასაცილია ცდა—გაექცე გრიგალს..
ვერ აიცდენ მას, თუნდა ცხრაკლიტულში დაიძალქოშო...
როგორც ძრიალამის ფოლადის მერანი, მე შევიჭრები მათთან და ვაფეთინებ...
მე უფრო მი ვარ ციხეების მეხეშიადმა...
ჩამოვჯდები ხოლმე ტელეფონის მავთულზე, ან არა და ციხის რკინებით გადაქსელილ მოქუარუშებულ სარკმლებზე...
მოვმართავ ჩემს სტვირ-ქამანჩას და ვბუბუნებ...
თანაც დავმღერი მომიბლავ ამბებს:
რევოლიუციებზე...
თავისუფლებაზე...
ბედნიერებაზე...
ვეჯავრები მეციოლენებს...
სიკვდილსაკით ძრწოლასა ვგვრი...
ეკლის თვალით მიყურებენ...
ენატრებათ მომკლან...
უგუნურნო!..
განა შეიძლება ვრიგალის დაჭერა და მოკვლა?..
ეძულვარ, დიახ, ვეძულვარ იმ ბალყუმებს...
სამგიეროდ ვუყვარვარ ტუსაღებს..
ცათა ფრენას ეწევიან, როცა ჩემი ფრთების ბარტყუნს გაიგონებენ...
რაც უნდა სასოგბაწყუმედილი იყოს რომელიმე მათგანი,—საკმარისია ჩემი ხმა შეესმას, რომ გარდიქმნეს... გაარწიოდეს....
— დაიზუზუნე, ქარიშხალო, დაიზუზუნე!.—მესმის მათი მოწოდება...
მეც მყის ვუსრულებ სურკილს...
ჩემის შთაბეჭდილებ ისინი ეძლევიან შემოქმედებას..
ვრცელ, ვრცელ პოემებსა და ლექსებს მიძღვნიან.
ქალაღლი აკრძალული აქვთ და ციხის კედლები ამეტყველებულია მათი ნაწერით....

მართალია, დიდხანს არა სძლებენ ეს ლექსები...
მალი-მალ შეეჭრება გორიზი ციხეებსა და კარით გაალესინებს კედლებს.
ამნაირად სცდილობენ მოჰკლან თავისუფალი აზროვნება...
რევოლიუციონური პოეზია...
რა იციან უბადრუკებმა, რომ ის სიმოერები მე უკვე დასწავლილი მაქვს და დავაფრიალებ მსოფლიოში უძლეველ დროშებად...
— რასა ჰფიქრობენ ტუსაღები?—შეეკითხა ია ქალს, როცა ის გაყურდა სულის მოსათქმელად...
— ვინ შესძლებს, მეგობარო, ტუსაღის ოცნების გადმოცემას...
იმაზე მდიდარი არა არის რა, როგორც პატიმრის ფიქრი.
პირველ ვარდ—ფარდები, რომელნიც გადიშლებოდენ დედამიწის ბავშობის ჟამს, ისეთი ოდალანები არ იქნებოდენ და ფერად-ფერადნი, როგორიც არის ტუსაღების ოცნებანი..
არავინ ისე ალტაკეტული და შეყვარებული არ არის თავისუფლებაზე, როგორც ისინი, ვინც დანატრულებენა თავისუფლებას...
სწორეთ ციხის ბნელმა საკნებმა წამოაცეცხლეგია მგოსანს უკვდავი სიტყვები:
„მხოლოდ ციხეში ესიზმრება ყაკაცს
ოქროს სიზმრები თავისუფლებაზეო“.
წარმართულ ენტუზიაზმით მოფარფალდა პატიმრის გული, მაგრამ ხანდახან ისიც იფლითება კაეშნის მარწუხებით..
იმ დღეს მეტად ნაღვლიან საუბარს მოვკარი ყური...
ერთი ტუსაღი მეორეს ეუბნებოდა:
— რა ხუსტურებიანია ისტორია!..
ოდესღაც პირველად აქ გაჩაღდა დიდი რევოლიუციის ხანძარი... შეიმუსრა საუკუნოვან ცოდვებით დამძიმებული მასტილია...
აქვე დაიგუგუნა კომუნის პირველმა ზარბაზნებმა...
შეაშფოთა და გააშეთიანა ბებერი ქვეყანა...
პარიზი გამოცხადდა რევოლიუციის წმინდა საშობლოდ...
ერთი ფანატიკოსი რევოლიუციისა ისე შეარხია პარიზსა და კომუნარების შარავანდედიანმა პანთეონმა, რომ კინაღამ გავარვლებული ავურებით თვალები ამოიწვა.
— ამის უმშვენიერესს ვერას იხილავენ ჩენი თვალები და რაღად მინდანან ისინი!.. რაღას ვუყურო ამ თვალებით ანდარმურ საშობლოში დაბრუნების შემდეგ...

ნეტა წამოახედა იგი სამარიდან, რა დღეშია საკაკობრიო იდეალების სამშობლო...

დღეს აქ კაპიტალს ჰიმნებს უმღერიან ყველა ჯურის ქარხნები... პოეტები.. მემუსიკენი...

ამას სჩიოდენ ტუსაღები...

შემაღონა მათმა ნაღველმა.

ფრთები ფრთებს შემოვკარი და ომახიანად შევეკახე:

— მეგობრებო, რამ გადაგჩენთ სასოწარკვეთილების ნაპრალებში...

რევოლიუციის სამშობლოს დაქცევება დროებითია...

მალე რადიოები სივრცეებს დაჰღარავენ ნეტარი ამბითი:

— იხარებდეთ!.. მეორედ და უკანასკნელად შეიმუსრა მასტილია...

შაი ნდომი შესცვალა წითელმა ზღიმმა..

მისი თამადაა:

ქუჩა მრისხანე... ქუჩა ძლიერი... ქუჩა შეერისმაძიებელი...

ელოდენთ ამ ჟამს... უკვე გაისმის ახალ მერნების ტორების ცემა..

იყავით მტკიცენი, როგორც რომაელთა რკინის ლეგიონები...

იყავით უშიშარნი, ვით გლადიატორები..

იყავით შემმართებელნი, როგორც პირველი კომუნარები...

. . . .

მიჯურებენ ტუსაღები...

ჰფხრეწენ უსასოობის ძაძებს...

იმედების მზეები ენთებათ გულში...

. . . . . .

გაჩუმდა ქარი.

სდუმდა იაც...

გული ისე აჰყუჩებოდა, რომ ხმას ვერ იღებდა...

მხოლოდ მარგალიტის ცრემლი კამკამებდა მისს ხასხასა, ქუფრ ყვავილზე..

— მაშ იცი რა!..—კარგა ხნის შემდეგ წარმოსთქვა იამ:

— მომწყვიტე და წამიღე იმ ტუსაღებთან...

მედნიერად ჩავთვლი ჩემს თავს, თუ მოვგვრი მათ ტკბილ ღიმილს... ისინი ხომ დანატრულებული იქნებიან ბნელს საკნებში ყვავილებს..

— ვერა, ვერ მოგწყვეტ, კეთილო იავ!..

არ მომიწონებენ ტუსაღები შენს მოწყვეტას..

— ვითომ რატომო?..

— შიებრალები...

— რევოლიუციონერი და სენტიმენტალური

— საქმეც ეგაა!.. ვერ წარმოიდგენენ, რომ თუთი გულისანი არიან...

მტერთან ულმობლობას იჩენენ... ხელი არ აუკანკალდებათ, რომ მისთვის-მოსთიბონ მათი რიგები...

მაგრამ ამავე დროს ენანებათ ყველა, რაც მშვენიერების მატარებელია...

ლაბუა მეღურების სიკვდილიც კი ერუანტელსა ჰგვრით.

ერთი ციცქნა ყვავილის დაქნობაც კი თვალს უცრემლიანებსთ...

რომ მოგწყვეტო, ისინი შესწუხდებიან...

შემომწყრებიან..

— არა, მაგისი შიში ნუ გაქვს...

მე ავუხსნი... ყველაფერს გავაგებინებ...

ვეტყვი, რომ მომეწარა მათი ნახვა...

მაინც დიდი ხნის სიცოცხლე არ მიწერია..

აღსასრული მიახლოვდება..

საცაა გამოჩნდება ყვავილების გამყიდავი...

დაგვკრეფს ყველა იებს...

წაგვიღებს ქალაქში და დაიწყებს ჩვენით ვაჭრობას...

ვინ იცის, ისეთმა გასუქებულმა მიყიდოს და გვერდზე გამიბნიოს, რომელსაც გული სავსე აქვს ველ-ბაყაყითა...

ნუ, ნუ დამტოვებ...

მომწყვიტე...

წამიღე ათთან, ვინც იბრძვიან მზისთვის...

თავისუფლებისთვის... მშვენიერი ცხოვრებისთვის...

—

ქარმა მოსწყვიტა...

გაიტაცა...

სარკმლიდან შეუგდო ტუსაღებს...

— ბიჭოს, ია...

რა უნდა აქ ია?..

შენი გულისა, შენი!..

რა ღაღანაა!..

რა სურნელოვანია...

ისაც ნეტარების ცრემლები სცვივა, თუმცა უკვე გაცრეცილია...

საცაა დასჭკნება.. სულს განუტევებს..

სანატრელია ასეთი სიკვდილი...

დ. თურდოსპირელი.

პატარა კომუნარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

(პარიზის კომუნის დროის სურათი).

მოქმედნი:

ლაურეტა—სათნოების და.
ლუიჯი—პატარა კომუნარი.
ლეიტენანტი სერჟანტი გუშაგი ჯარისკაცი | ვერსალელები.

სცენა: სადარაჯო ოთახი. აქა-იქ იარაღი აწყვია. მაგიდა თავის მოწყობილობით. ერთ გრძელ სკამზე სერჟანტი წამოწოლილა და ჩიბუხს სწევს. გუშაგი პირდაპირ კარებში (დერეფანში) სდგას. დროგამოშვებით შორს ისმის სროლა, ხმაური, მარსელიეზა. პაუზა.

ა.

სერჟანტი. კიდევ სროლა? ჰმ!.. რით ვერ მოუღეს ბოლო ამ კომუნარებს?! მთელი პარიზი სისხლში სცურავს, ხანძარშია გახვეული და ისინი კი კვლავ ბარიკადებზე?!

გუშაგი. ურჩი ხალხი ყოფილა ეს პარიზელები! ისე კვდებიან, თითქოს აქ არაფერიაო. რა გაუხდათ ეს კომუნა, რომ ასე ეწირებიან მას? (პაუზა).

სერჟანტი. პარიზი უკვე ჩვენს ხელშია თითქმის, მაგრამ აქა-იქ კიდევაა ზოგიერთი უბანი ასაღები; უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძვიან და ძვირად გვისამენ გამარჯვებას... მარა, ამა რას გახდებიან ჩვენთან, დარაზმულ ლეგიონებთან, იარაღის ცოდნაში თითქმის გამოუცდელი მუშები? თუმცა, მართალი უნდა ითქვას, რომ დიადია მათი თავგანწირვა. (გადაბრუნდება მეორე მხარეს, ამთქნარებს). ეჰ! ძალიან მეძინება... მაგათს დახვრეტას ვერ ავდოვართ, მთელ დღედადამეებს არა გვაქვს მოსვენება... წუხელის როზიეზე კიდევ დავხვრიტეთ ოცდაშვიდი და გავგზავნეთ საიქიოს შიკრიკად, რათა ამბავი მიუტანონ წინად დახოცილებს, რომ მალე კომუნაც იქ გადასახლდება... იმათში ოთხი ქალი იყო, სამი ბავშვი და შვიდი ბებერი ქოფაკი. (იცინის) ისე ჩიტჩიტდნენ ის უკბილოები და ვვლაძლავდენ, რომ სასაცილო იყო მათი ყურება. დე, ახლა იქ დაამყარონ კომუნა, იქ აღარავინ დაუშლის...

ჰმ... მერე და ვისაც დაკოცრილ ხელებს უნახავენ, მაშასადამე, მუშაა, და დახვრეტა, ტყვია... (პაუზა) ეოზეფ! კარგი არაა ახლა ერთი ბრეტონული ღვინო?

გუშაგი. ჰაი, ჰაი, რომ კარგია, მაგრამ...

სერჟანტი. ეჰ, რა კარგი იყო იმ დღეს, სენას გაღმა, ხიდის ყურეზე, „მშვენე თუთიყუშის“ ლუდხანა რომ შეევამტვრიეთ! აი, მესმის სასმელები! ერთ კვირას თავი მიბრუოდა... ძაან კი გამოვიბრუეთო, არა?

გუშაგი. იქიდან წამოღებული ს

ყვდა... და ბარიკადი რომ ვიიღეთ, ხელთ ვიგდეთ ხუთნი. სამმა კაცმა წინააღმდეგობა გაგვიწია და იქვე მოვკალით. ესენი კი თქვენ მოგგვარეთ.

ლეიტენანტი. კარგი. გასწი!

ჯარისკაცი. მესმის! (გადის).

ლეიტენანტი. აბა, რას იტყვით, ქალბატონო, ანუ შენ, ლაწირაკო?

ლუიჯი. მე ლაწირაკი არა ვარ!

ლეიტენანტი. ოჰო, ძალიან ამაყად კი ამბობ!

ლუიჯი. მე კომუნარი ვარ და, როგორც ჯარისკაცმა უკვე მოგახსენეთ, ბარიკადზე მებრძოლი!

ლეიტენანტი. (დასცინის) რათა, რამ გაიძულა?

ლუიჯი. მე მიყვარს კომუნა და შურსა ვძიობ ვერსალელებზე. მათ დამიხვრეტეს მამა, ძმა...

ლაურეტა. (თავისთვის) ჩემი ანრი!..

ლუიჯი. თქვენ საძაგლები ხართ. თქვენ სისხლში ჩაალრესეთ პარიზი. მე მძულხართ ყველანი!

ლეიტენანტი. ხა! ხა! ხა!.. მერე და ამისათვის რომ დაგხვრეტენ?

ლუიჯი. ვიცი. აბა შუბლში ხომ არ მაკოცებენ. მეტს რას უნდა მოველოდე ჯალათებისაგან.

ლეიტენანტი. გაჩუმდი!

ლუიჯი. რას მიყვირით? მე თქვენი არ მეშინია, სისხლის მსმელნო!

ლეიტენანტი. ხმა! კრინტი!.. (ადგება გაბრაზებული და სილა უნდა გაარტყას, მაგრამ ლაურეტა გადაეღობება წინ).

ლაურეტა. შეჩერდი! არ გაბედო!.. (პაუზა).

ლეიტენანტი. (მოქნეული ხელი ისევ შერჩება. გაშტერდება. აკანკალდება ქალს). ლაურეტა!!! (მკლავი ძირს ეშვება. შეტორტმანდება და, რომ ძირს არ დაეცეს, მაგიდას დაეყრდნობა. პაუზა. სკამზე დაეშვება). ლაურეტა! შენც, შენც მაგათთან ხარ?.. ჰმ... მეუნგებოდენ და მე კი არა მჯეროდა... მაშ მართალია?..

ლაურეტა. დიდი, მეც ამათთან! (პაუზა).

ლეიტენანტი. რათა, რისთვის? რა ნახე კომუნარეში, მაგ შავ მწერებში, კარგი? რად შეარცხვინე ჩვენი ოჯახი? ვის გაპყევი, ვის?!

ლაურეტა. მე ოჯახი არ შემრცხვენია. მე მხოლოდ გავიქეცი მას. მე მინდოდა მისი დანაშაული შემეცრარებია კომუნის წინაშე, შენი მასზე შეტევის გამო. მე კომუნამ ამიხილა თვალები... მე ვხედავდი, თუ როგორ უყვარდა იგი პარიზს; მე ვუყურებდი მათს მვრიელ ბრძოლას ბარიკადებზე, მათს თავდადებას თავისუფლებისათვის... მე განა შემეძლო გარეშე ვყოფილიყავი ბაშინ, როდესაც საფრანგეთი იღუპებოდა, იყიდებოდა სწორედ ჩვენი—არისტოკრატიის და ბურჟუაზიის—მეოხებით? მე ვგრძნობდი, თუ როგორ იტანჯებოდა შრომელი ხალხი... და თანაც... სიდანი... ბეზრო ომი, დამარცხება... პარიზის ყაფუჭი... მოჯიგრებული პრუსიელების მახვილი... მთავრობის სამარცხვინო მოქმედება, დამცირება, მონური ზავი. გარყვნილება, ღალატი... უამრავ ახალგაზრდობის სასაკლაოზე განწირვა... უთვალავი სამარეები... და ყველა ეს ვისთვის? უმადლესი წოდების, ფუფუნების შეჩვეულ მდიდართა გაუმაძღარ მადის დასაკმაყოფილებლად! რაღა? რისთვის?! ვინ მისცათ ამის უფლება?.. და აი ამ დროს გამოდის კომუნართა გაბედული რაზმი, იღებს ძალა-უფლებას ხელში, რათა გადაარჩინოს საყვარელი სამშობლო, საფრანგეთი, და დაამყაროს კომუნა, შრომის მეუფება. თქვენ კი ლაჩრულად გარბიხართ ვერსალში... აჯანყებულ სულს... თქვენ ხალხს ვერ ურიგდებით და უცქოლელების, პრუსიელების მონობას რჩობთ... და აი, ასეთ დროს ვხედავ ინ კაცს, რომ ლმაც შემიგნებია, მსწავლა ახალი ცხოვრების სიყვარული, ბრძოლა... ჩემი ანრი, ჩემი რაინდი...

ლეიტენანტი. ვინაა, სადაა?

ლაურეტა. იგი აღარაა ცოცხალი. ის გმირულად დაეცა, საყვარელ წითელ დროშასთან ერთად, ბარიკადზე! (ცრემლი ერევა).

ლუიჯი. ჩემი უფროსი ძმა იყო!

ლეიტენანტი. გაიყვანეთ ეს ბიჭი აქედან და ჩაჰკეტეთ კაზემატში! ამალმ კი, სხვებთან ერთად, პერ-ლაშეზზე!..

გუშაგი. (მივა).

ლუიჯი. (ლაურეტას ეკვრის). მე ლაურეტას არ მოვშორდები.

ლაურეტა. ჩვენ ერთად წავალთ! (მიდიან).

ლეიტენანტი. ლაურეტა, შეჩერდი! (გუშაგს) გასწი!

გუშაგი. მესმის! (თავის ადგილს დგება).

ლეიტენანტი. ლაურეტა! ლაურეტა!.. (მიუახლოვდება).

ლაურეტა. არ მომეკარო. (იშორებს) შენი ხელები კომუნარების წმიდა სისხლშია გასვრილი... ოჰ...

ლეიტენანტი. რათა, რისთვის?! ლაურეტა!.. (სკამზე დაეშვება და თავს ჩაღუნავს. პაუზა). რა სასტიკი ხარ!.

ლუიჯი. საყვარელო ლაურეტა, შენ რა კარგი ხარ, რა ბეჯ კეთილი, და შენი ძმა კი...

ლაურეტა. დამშვიდდი, საყვარელო ლუიჯი... მე არსად გაგიშვებ მარტოს.

ლუიჯი. (მიუახლოვდება ლეიტენანტს, ღიმილით) ბატონო ლეიტენანტო! აი, მე ვხედავ, რომ თქვენ ისეთი ბოროტი არა ხართ, როგორადაც

გინდათ მოგვაჩვენოთ თავი... თქვენც ლაურეტა-სავით კარგი უნდა იყოთ, ვგონებ... მაგრამ, ეჰ! ჩვენს რიგებში რომ გებძოლოთ, ო, როგორ ეყვარებოდით ყველა კომუნარებს!..

ლეიტენანტი. არასოდეს! მე ბონაპარტელი ვარ და ერთგული ნაპოლეონენის!..

ლუიჯი. მერე და ჩვენი კომუნა? განა ის კი საყვარელი არაა, რომელსაც თქვენ სისხლში აღრჩობთ? ა?..

ლეიტენანტი. (ხელს უსვამს თავზე, ღიმილით) ო, შე ცელქო ბავშო! .

ლაურეტა. (უხარია. მიუახლოვდება) რობერტ! მაპატიე!.. (ხელს გაუწვდის).

ლეიტენანტი ლაურეტა! (გახარებული წამოხტება. ხელებს დაუჭერს და ჭკონის) საყვარელო (დაიკო! . შეიძლება თქვენ, კომუნარები, მართალნი იყოთ, მარა... მე მხედარი ვარ და ფიცი მომიღია... პაუზა) მე მაინც ვეცდები, წავალ, გენერალ მონტოდონს ვთხოვ, რომ გაპატიოსთ... ოღონდაც დაუბრუნდი ჩვენს ოჯახს... ხომ იცი, როგორ გაუხარდება დედას... ის მუდამდღე სტირის შენზე და გიგლოვს...

ლაურეტა. დედა?.. (თავს ჩაღუნავს).

ლეიტენანტი. მარკიზს მაიორობა უბოძეს; მას ისევ შენ უყვარხარ, და...

ლაურეტა. ჩვენი გზები სხვადასხვაა ..

ლეიტენანტი. ლაურეტა!..

ლაურეტა. რობერტ! მე ვთქვი და მორჩა. (პაუზა. ლუიჯი გახარებული უყურებს) შენ შეასრულე შენი მოვალეობა: უბრძანე, რაც უნდა გვიყოფ.

ლეიტენანტი. ო, არა! (პაუზა. იტანჯება). თქვენ თავისუფალი ხართ!.. თუმცა ვიცი, ეს რად დამიჯღება.

ლაურეტა. რობერტ!

ლეიტენანტი. მშვიდობით! გუშაგო, გაატარე! (გაფითრებული სდგას).

გუშაგი. მესმის!

ლაურეტა. რობერტ! შენ წამოხვალ ჩვენთან. (ეხვევა).

ლუიჯი. (ტაუნავს, გახარებული) ... ლეიტენანტო! გაუმარჯოს კომუნას! წადი... ჩვენ სულყველას გვეკვარები! (ხელს დაუჭერს და ეწევა კარისკენ).

ლეიტენანტი. გაჩუმდი, ბავშო! მე არ შემიძლია თქვენთან წამოსვლა. (ისმის გარეთ მარსელიეზა და ხმები: „გაუმარჯოს კომუნას!“ „გაუმარჯოს ხალხს!“ „სროლა!“).

ლაურეტა. რობერტ! „ია“ გესმის ის ხმები? ყიჟინა! სიფრანგეთის ნამდვილი პატრონი—ხალხი, გიწვევს ფავლ ურჩ ბაზრებში.

ლეიტენანტი. მე დავრჩები ჩემი მოვალეობის საგუშაგოზე.

ლაურეტა. რობერტ!

ლეიტენანტი. თქვენ თავისუფლები ხართ. წადით .. ემსახურეთ ხალხს. მე კი... (დღონდება).

(ლაურეტა და ლუიჯი მიდიან. გული სწყდებათ, რომ ლეიტენანტი აქ რჩება).

ლეიტენანტი. ლაურეტა! (რა ისინი გავლენ კარებში, ხელებს გაიწვდის და რამდენიმე ნაბიჯს გადასდგავს წინ. ისინი მობრუნდებიან. ეხვევა. პაუზა).

ლაურეტა. რობერტ! რობერტ!..

ლეიტენანტი. კარგი. წადით. ი

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ტ ვ ი ლ ი ს ა ნ რ ი დ ა უ ფ უ რ ი

(პარიზის ... ეროვნის დროის ამბავი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

I

ანრი დაუფური გაქანებული მიაბიჯებდა და თან მის დასაწევად ანანჩალებული ცხრა წლის ქაკ გონორს არიგებდა:

— აბა, დოყლაპიობა არ დაიწყო! რასაც კი უპატრონოდ დაინახავ, იმ წამსვე აარტყი.

— სისხლიც?

— რასაკვირველია, სისხლიც: შეესრუპავთ და გამოვძღებით კიდეკაც.

ქაკმა უბიდან დაქყლეტილი თუნუქის „კრუ-ქკა“ ამოიღო და ხელში ეშმაკურად დაუწყო ტრიალი.

მარტის სისხამი ღილა იყო. ქვაფენილზე მდგარი, დაგრძელებული, ბნელი რიგი რიერაეზე მკაფიოდ მოჩანდა.

ისინი ფურნესთან ჩამწკრიალებულიყვნენ.

ბიუებმა მოყინულ ქუჩაზე სირბილის უმატეს.

ქაკი ნანახსა და გაგონილზე ლაყბობდა.

— ძალუა ბინიო ხოჩის ბარათებს ვაქრობს და თან გაიძახის: — „ასე ვახერხებ ცხოვრებას... ვყიდულობ ნახშირს და რაზეს საქმელად“. ჰეჰეი, შეხედე, დოლი!

ბიუნეას სიცივე-შიშმილი დაავიწყდა. მისი აწითლებული თითები თუნუქის „კრუ-ქკაზე“ დოლს ურახუნებდა: ქუჩაში მიმავალი კომუნის დამცველი ეროვნულ-გვარდიელები დოლს უკრავდენ.

— აბა, ერთი შეხედე, ანრი, როგორ სწავლობენ. შაფსოს* ნაკელად ჯოხები დაუჭერიათ. ეჰ, როგორ მინდა, რომელიმე მათგანის ადგილას ვიყო.

ბიუები სასაკლაოს ეზოში დროზე შეკრებენ: თოკით მოთრეული უკანასკნელი ხარს შემდეგ ის იკეტებოდა.

საქონლის ყმუილს და მუშების ფაცაფუცს სასაკლაო აეხმაურებია.

*) იმდროინდელი თოფია.

— საით, ყმაწვილებო?...

მუშებს ბავშვებისათვის არ ეცალათ. მათი ყურადღება ევებერთელა ... ეროვნულ-გვარდიელიც მძიმე ურთოი დარტიანებულ თავს ხაზ-ზელ ყმელით იქნევდა, ხოლო ფეხებით კი მაწის იატაკს აფხვიერებდა.

ბოლოს, როგორც იყო, ხარი დაჭკლეს და გამოსწელეს, შიგნეული დიდ თუთიის სინზე მოათავსეს, საიდანაც წითელი ჩქერი იატაკზე იწურებოდა.

ბავშვებმა ორიოდე სისხლიანი, ქუყიანი ნაწლავი მოიპარეს და მარდად გაიპარენ.

იმ დღეს ისინი დაუფურის სარდაფში გამოძღენ.

ამ სარდაფში ქაკი დედის გარდაცვალების შემდეგ დასახლდა.

წუმწუნის ქარხნის დახურვამ ის ქუჩაში გამოაგდო.

ნასადილევს ანრიმ სთქვა:

— სასაკლაოზე ხშირი შეპარვა შეუძლებელია; უნდა სამეშაო რამ გავიჩინოთ. მე ეროვნულ გვარდიაში ჩავეწერები.

— ეგ სანქმო არ არის. გავიგე, ვისაც ცოლი და შვილი არა ჰყავს, ასე 17—35 წლამდე, საველე რაზმში ჩაწერის ნება აქვს. მათ აგრეთვე სამხედრო ბატალიონს უწოდებენ.

— საიდან ჩვიდმეტის, როცა თხუთმეტი წლისა ხარ, — შეაწყვეტინა მკერავმა ძალუამ დაუფურმა.

— რა უშავს! მე კი ვეტყვი, რომ 17-სა ვარ, არა, მამილო?

სებასტიან დაუფურმა ხელი ასწია, რომელიც მანქანით დასახიჩრებოდა: თითები ჰქონდა მოწყვეტილი. მას მოაგონდა 48 წლის რევოლუცია, რომელიც დამარცხდა და სადაც მონაწილეობას იღებდა და ხრიწიანი ხმით აჯანყებულთ სიმღერა დასძახა.

II

ანრი ეროვნულ გვარდიაში ისე შევიდა, რომ შინით გამოწვეული დედის მოთქმას ყურადღება არც კი მიაქცია, მხოლოდ დასამშვიდებლად ეუბნებოდა:

— როცა ეროვნულ-გვარდიელი გავხდები, 45 ფრანკიანი ჯამაგირი მექნება, 30 ჩემზე დავხარჯავ, 15 კი თქვენ მოგანდომებთ; რატომ ვერ გაგიგია, დედაკაცს?

— ეს, ეროვნულ-გვარდიელებ, ...

45 ფრანკი იმ დროს ბევრს არაფერს წარმოადგენდა, იმიტომ რომ ბინის ქირამ 70 პროცენტით იმატა, მაგრამ რაკი ეგ არარაობას მაინც სჯობდა, ძალ-ი დაუფური დასთანხმდა.

ანრიმ ორიოდე წელი წამიტა და ეროვნულ-გვარდიელის ტანისამოსი და შაფსოკა მიიღო.

ჟაკი სასაკლაოზე მარტო დადიოდა.

ანრი წვიმაში და ქარში მხნედ ასრულებდა თავის მოვალეობას: კუჭკარიელ ანრის მუდამ ახსოვდა, რომ იგი ოჯახის მურჯი და პარიზის დამცველი იყო.

მამა ამხნევებდა ანრის იმედით, რომ ბოლოს ღარიბები სარდაფებიდან ნათელ ბინებში დასახლდებოდენ და არც ბატონები, არც პატრონები არ იქნებოდენ.

მარტის შუა რიცხვებში თავისრობის თავმჯდომარე ტიერმა გასცა განკარგულება, რომ პარიზის მუშებისთვის იარაღი ჩამოერთმიათ, იმ პარიზის მუშებისთვის, რომელსაც „მეხალათეთა და გაფიცულთა“ ქალაქს უწოდებდენ.

ტიერმა განაძარცა ი ზარბაზნების წართმევა და რეგულიარულ ჯარისათვის გადაცემა, რომელიც მუშებს პროსიელების წინააღმდეგ ბრძოლით, ნაოფლარით შეეძინათ?.

ტიერმა ზარბაზნების ჩამოსართმევად 3000 ჯარისკაცი გაგზავნა. მაგრამ მოხდა სასწაული: ერთ-ერთი უნტერ-ოფიცრის ბრძანება გაისმა:

— ისროლეთ ჰაერში!..

რეგულიარულ ჯარის მწკრივები აიშალენ, ჯარისკაცები უფროსთა ბრძანებას აღარ ასრულებდენ, მათი წამოსასხამები ეროვნულ-გვარდიელთა მუნდირებში გაერია. ღენერალი ლეკონტი დაატატრეს.

გუშინდელი მტერები დღეს მონმარტის სიმაღლეებზე ერთმანეთს ძმურად ეხვეოდენ; ქუჩები ხალხით აივსო, მშრომელი ქალები ზარბაზნებზე იმათთან ერთად ჩამოჯდენ, ვინც ამ ზარბაზნების წასართმევად იყო მოსული.

— კომუნას გაუმარჯოს! გაისმოდა მონმარტზე, და ეს სიტყვები უპუს პარიზის შორეულ კუთხეებში გადაჭიმნდა.

მერე უპუს სხვა ამბავიც მოიტანა: მთავრობამ ტიერის მეთაურობით ვერსალში შეიფარა თავი.

ძია დაუფურის მიერ ნაწინასწარმეტყველები ზღაპარი მართლდებოდა: ძალაუფლება მშრომელთა ხელში გადადიოდა.

პარიზი კი მაინც გუშავობდა. მტერი ახლოვდებოდა: გაქკეულ მთავრობას ყოველდღე შეეძლო აემხედრებინა მათ წინააღმდეგ პრუსიელთა რეგულიარული ჯარები, რომელნიც დედაქალაქის ახლო იმყოფებოდენ. ესეც შედიოდა ტიერის გეგმებში, როგორც აჯანყებულთა დამორჩილების საშუალება.

ერთ დღეს რიგიდან გამოჭეკილი ძალუა დაუფური ბინ მოკუნტულდა ძალიან კმაყოფილი და აღელვებული.

— ეი, შენ, ბებრუხუნა! — უთხრა მან ქმარს-ამბობენ, მალე ბრძანება გამოვა და ლომბარდში დადგრაგვენი ნივთები ხალხს დაუბრუნდებამ. რა კარგია! ისევ წამოვიხსამ მზითვად მიღებულ თათრულ წამოსასხამს. ბინისაც სულ ცოტა გადასახადელი გვექნება. სახლის პატრონის ვალებიც მოგვესპობა! აი, ეს კი ნამდვილი მთავრობა!..

პატარა ჟაკი კი მაღელი დღე ბასტილიის მოედანზე დაეხეტებოდა, იმ მოედანზე, რომელიც სამხიარულო ადგილად გადაქცეულიყო, ან-და აუყოლია თვალებს ბალაგნის აივანს, რომლიდანაც ჯამბაზი ხალხს ეპატიჟებოდა:

— მოიბრძანდით, მოქალაქენო, მაგიდის სასწაულთა დასათვალიერებლად! კომუნას დაეხმარეთ! შემოსავლის ნახევარი დაჭრილთათვის გადაშიდვა!...

ქუჩებზე, ყველგან, სადაც კი ხალხი იკრიფებოდა ან ჯგუფდებოდა, ამყოფდენ, ახლა საფრანგეთს ნამდვილი მუშური მთავრობა ჰყავსო. ფინანსთა მინისტრი ჟურდენი, რომლის განკარგულებაში დიდი თანხები იმყოფებოდა, პატარა დუქანში მუშებთან ერთად საერთო მაგიდაზე სადილობდა. მისი ცოლი სარეცხს გასარეცხად ურიკით საერთო სარეცხველოში მიაგორებდა, თვითონ უნდა გაერეცხა.

ყველგან მხიარული, წითელი დროშები ფრიალებდა, ყველგან ხალხი იკრიბებოდა და ლაპარაკობდა. საერთო ბიბლიოთეკა გაეკეთებინაო; ლუვრის მუზეუმი ხალხისათვის გაიღოს და „ფეხშიშველებსაც შეუძლია ზესკალა“ — ამბობდა ჟაკი. კასტელანონის ქუჩაზე კი უკვე ბარიკადი ამართულიყო.

III

ქალაქის დასაპყრობად ტიერმა აპრილის დამლევს ასოცეთასიანი ჯარი შეჰყარა. ქუჩებზე ვამართულ ბარიკადებზე მყოფნი შიშით შესცქეროდენ იმ მდგომარეობას, რომელშიაც პარიზი ჩავრდნილიყო.

ანრი დაუფური ისსის სიმაგრის ერთ-ერთი დამცველთაგანი იყო.

25 აპრილიდან მოყოლებული ვერსალელებმა სანგრების სასწრაფო აშენება დაიწყეს, ანრის კი ამ დღიდან შინ არ შეჰოფელია.

მოიწყინა ჟაკმა მეგობრის უნახველობით და სცადა მასთან გაჰაზავრება.

იგი ისსისკენ წავიდა, ანრის უბით ძღვენი წაუღო (ეს მის მიერ დაჭერილი და შემწვარი მტრედი იყო).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისსამდის ჟაკს კარგა დიდი გზა ჰქონდა გასავლელი. აგერ ქვეტკირით ნაშენი წისქვილი, აი თხრილით შემორაყმული ციხე-დარბაზი, რომლის ახლოს ნაცნობი სოფელი იმყოფებოდა.

— სდექ! საით მიძარები შე არამზადავ, შენა! რა გინდა მანდეთ?

— ღენერალთან წაიყვანეთ, ჯაშუში იქნება. პარიზის მხეცები თავიანთ საქმეს ძუძუ-მწოვართაც ასწავლიან.

ჟაკმა საკოდავად დაიკნავლა.

— ჯამი შვილ, თქვენი პირიმე. დედაჩემის სიფლავი უნდა ვნახო.

— აბა, აითვრი! მე შენ გირჩევენ დედის საფლავს. დაიკარგე აქედან, ფეხ ქეშ ნუ ვვედები, გესმის!— და ღონიერმა ვერსალელმა ისეთი პანღური ამოჰკრა, რომ საწყალი ბიჭი კარგ მანძილზე გადააგორა. ჟაკი წამოხტა და შინისაკენ მოკკურცხლა.

ვერსალელთა არტილერია გიუზერებლივ გეგეგუნებდა. სიმაგრიდან გამოსული ანრი საფრთხის ძლიერ გადარჩა: მის გვერდზე რაღაცამ გაიელვა და მიწა ანრის შეაყარა.

ანრის სიმაგრეში ყუმბარის ჯერ ისევ თბილი ნატეხი შემოთხრია. ყუმბარით დაჭყლეტილი კარი ჭასთან დარჩენოდა.

კომენდანტმა მეეთმ წარბები შეიკვეხნა.

— მგონი საქმე გვერთულდება.

— ბრძანეთ, რომ ორთოდ ამბანაგი წყლის მოსატანად წამომყვეს.

ხეენარი, რომელიც სიმაგრეს ერტყა, მტრის ყუმბარებით დაისერა.

ზემოდან ხმები მოისმა:

— საფეხურეების ზევით დიდი ნახვრეტია. ყუმბარები სიმაგრეში სცვივა.

— ყველანი ზევით, ზაანის შესაკეთებლად!..

დაუფური დაოდალავად მუშაობდა, ოღონდ კი სათოფურების ზიანი გაესწორებია.

დარბაზში სამხედრო საბჭო შეიყარა. ყოველ წუთს ახალ-ახალი შეკრეკები მოდიოდენ და ახალი ამბები მოჰქონდათ.

— მულინო უკვე აღებულია!

— მტრის სანგრები უკვე ხეენარში შენდება.

დარბაზის მახლობლად ვიღაცამ დაიძახა. გაეი და ქვები ჩამოინგრა.

მეეი ღელავდა; მედგარ რევოლიუციონერს, მაგრამ გამოუცდელ უფროსს, საფრთხისა შეშინებოდა. ამ დროს მან შეამჩნია ანრი, რომელიც მშვიდად განკარგულებას ელოდა.

— ვინა ხარ შენ?

— ანრი დაუფური, № 176.

— საფეთქელი სისხლით გაქვს მოსვრილი.

— უბრალო ნაფხაჭნია. რას მიბრძანებთ?

— ამ 176 საკვირველი მხნე ხმა აქეს!

შენ ჩემთან დარჩები.

დაუფური სიმაგრის მიდამოებს იგონებდა: ბავშობისას იგი ხშირად მოდიოდა ამ ხეენარში კაკლების წასაღებად, ოცდაცხრას დამით, მოიერიშენი უკვე სასაფლაოზე დამკვიდრდენ.

ხელმეორე კრებაზე ათრთოლებული მეეი ლაპარაკობდა:

— ჩემდამი რწმენებული რაზმის უზრუნველყოფნა საფრთხეშია. მტერი გარშემო შემოგვრტყმია. ჩვენ, შველის მოლოდინში, მას ვერ გავუმაგრდებით... შველას კლიუზერისაგან ველით, მაგრამ გარნიზონს ბრძოლის უნარი აღარ აქეს... წინადადებას ვიძლევი: სიმაგრე დავცალოთ.

ცოტა წაიკამათეს, ბოლოს მეეის წინადადება მიიღეს. მეეემ დაუფურს დაუძახა.

— სიმაგრ ს ვ ლ ი თ, — განუმარტა მან ანრის, — ყველა გიგმები შეაგროკე, რომ ტიე-ის ჯარა ხელთ არ ჩაუვარდეს.

დაუფურმა უბიდან ქაღალდზე დაწერილი მისამართი ამოიღო და კომენდანტს გაუწოდა.

— ამხანაგო კომენდანტო, პარიზში რომ ჩახვალთ, გთხოვთ, ჩემი მშობლები ინახულოთ და მამაჩემს უთხრათ, რომ მე მოვალეობა პირნათლად ავასრულე.

— მოვალეობა? რას ნიშნავს? მითხარი, რას ნიშნავს?

— სიმაგრეს მტერს ვერ დავნებებ. დე, ნანგრეკები მიიღონ ვერსალელებმა.

— რა? რა უნდა გააკეთო?!

— სიმაგრეში მტრის შემოსვლისათანავე საღინთო სარდაფს ავფეთქებ.

მეკიმ ამნეულად შეჰხედა. ანრის ყოყმანის მიზეზი ვერ გაეგო.

— ეგებ ამხანაგ კომენდანტს ეშინია, რომ დროს ვერ ვიხელთებ? ან სიმაგრის გეგმა არ ვიცი? დაბშვიდებულად იყავით, მოხერხებულად ავფეთქებ .. ოღონდ... ჩემი თხოვნა ხომ არ დაგამძიმებთ? ჩვენები ინახულეთ.

მეკი განზე იყურებოდა.

— ყველაფერს აგისრულებ, ლაუფერ.

ციხიდან ეროს ხმა მოისმოდა: ზარბაზნებს აფუტებდენ, რომ მტრის ხელში გამოუსადეგარი ყოფილიყო. მოითავა თუ არა ჯარმა ზარბაზნების გაფუტება, სწრაფად დასცალა სიმაგრე. ლაუფერის მეთაურობით რამდენიმე კაცი დარჩენილიყო.

ვერსალელები 15 წუთის განმავლობაში დანებებას მოითხოვდენ.

პასუხად სიჩუმე მიიღეს.

ლაუფერს ამხანაგები შეეყარა და ელაპარაკებოდა:

— ძმებო, რა აზრი აქვს ერთად დაღუპვას? წადით, სანამ არ დაგვიანდა. ამ ძაღლებს ... ...

უკვდავი კომუნარი

(პარიზის კომუნის ხსოვნას)

დაეცა კომუნა.

მრავალი სიცოცხლე დაიმარხა საფლავში.

მაგრამ იმ დღიდან, რა დღიდანაც იმათ თან წაიღეს ხალხის სიყვარული, მათ საფლავებს არ უგრძნიათ მარტოობა.

განუწყვეტელი რიგებით მიდიოდენ მათთან შეუპოვარი დედაკაცები. ხალხი მიდიოდა მათ თავყვანის საცემად, როგორც უწინდელ სალოცავებში.

ჯარისკაცები ტლანქად აშორებდენ მათ საფლავებს, მაგრამ ვის შეეძლო მათი შეჩერება.

ჯალათებისათვის საშინელი ის იყო, რომ საფლავები სწრაფად წითლდებოდა.

თავგანწირულ დედაკაცებს მოჰქონდათ ყვავილების თესლი და ფარულად ჩფანტავდენ საფლავებზე.

და აი იმ ყვავილების მხურვალე სიწითლე იყო, რომ ასე ბრწყინავდა საფლავები.

წლები გადიოდენ, მაგრამ საფლავებს წითელი ყვავილები არ აკლდებოდა, არ ჭკნდებოდა...

აი ერთი იმ შეუპოვარ დედაკაცთაგან, რომელიც მუდმივ ახლად ინახავდა ყვავილებს, რომელიც ღამ-ღამობით უფლიდა საფლავებს.

ჰკითხეთ მას და ის გიამბობსთ.

— „ჩემმა მეუღლემ სამი რევოლიუცია გადიტანა.

ერთი რევოლიუციიდან, ივნისის დღეების შემდეგ, ის ერთ ღამეს ფარულად დაბრუნდა სახლში.

და ახლაც, მაისის კომუნის დაცემის შემდეგ, ყოველ ღამე ველი მას...

მე ვიცი, ის ცოცხალია.... მე დარწმუნებული ვარ, და ამიტომ ველი მას.

ორი რევოლიუციის შემდეგ ის დაბრუნდა, ნუთუ ახლა არ დაბრუნდება?

სახლის კარებს მუდამ ღიას ვტოვებ, რომ მოვიდეს და ჩუმად შემოვიდეს.

წლები გადიან, მაგრამ იმ ქალის რწმენა არ ჰქრება.

ის ამკობს წითლებით კომუნის საფლავებს...

ბნელ ღამეებში კარებს ღიას სტოვებს და ელოდება თავის კომუნარ ქმრის დაბრუნებას...

არასოდეს, არასოდეს ის არ დაიჯერებს, რომ მისი მეუღლე, კომუნის გმირი, მკვდარია!..

ლ. კარაპეტიანი.

დიდი დანაკლისი

ამ წლის მარტის 22-ს უბედურმა შემთხვევამ ამიერ-კავკასიის კომუნისტური პარტიის რიგებიდან გამოგლიჯა სამი მტკიცე რევოლიუციონერი: ალექსანდრე თევდორაძისა მიასნიკოვი, გიორგი ალექსანდრესძე ათარბეგოვი და სოლომონ გრიგოლისძე მოგულევსკი.

ისინი ტრაღიკულად დაიღუპენ ჰაეროპლან „იუნკერსის“ ავარიის დროს, მათმა უდროო სიკვდილმა მწარე ტკივილები გამოიწვია ამიერ-კავკასიის მუშების და გლეხების გულში.

დაღუპული ამხანაგების სახით საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელმა ხალხმა დაჰკარგა სამი ერთგული და დიდი მებრძოლი კომუნიზმისა, სამი გულწრფელი და პატიოსანი მოსარჩლე მუშების და გლეხებისა.

აი, რატომ არის ჩვენი დანაკლისი ესოდენ მძიმე და ესოდენ აუნაზღაურებელი.

იმათთან ერთად დაიღუპა ორი პატიოსანი მუშაკი—მერინავები: სალარაძე და გეგმანელი შპილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამხ. ალექსანდრე თევდ. ძე მიასნიკოვი.



ალექს. თევდორეს ძე მიასნიკოვი დაიბადა დონის ნახიჩევანში 1886 წელს. საშუალო განათლება მან მიიღო სომხურ სასულიერო სემინარიაში, რომლის გათავების შემდეგ ის ემზადებოდა და შევიდა ლაზარევის აღმოსავლეთის ენების ინსტიტუტში. შემდეგ განაგრძო სწავლა ოსკოვის უნივერსიტეტში.

1905 წლიდან ის უკვე პარტიის რიგებშია; მუშაობდა ბაქოში, მოსკოვში და სხვ.

ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ მას ექირა მრავალი საპასუხისმგებლო თანამდებობა: ის იყო დასავლეთის ფრონტის კომისარი, მოსკოვის კომიტეტის მდივანი, ბელორუსიის ცკის თავმჯდომარე და სხვა. უკანასკნელად ის იყო ამიერკავკასიის კომუნისტური პარტიის საოლქო კომიტეტის მდივანი, საბჭოთა რევოლიუციონურ საბჭოს წევრი, მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე.

ამხ. ს. მოგილევსკი.

ამხ. ს. მოგილევსკი დაიბადა 1885 წელს. გიმნაზიიდანვე ის აქტიურ მონაწილეობას იღებს რევოლიუციონურ წრეებში. ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ ის მუშაობას ეწევა მოსკოვში, უკრაინაში და სხვ. ადგილებში.

1922 წლიდან ის მუშაობს ამიერკავკასიაში საგანგებო კომისიაში. შემდეგ საბჭოების ყრილობამ ის აირჩია საგანგებო კომისიის თავმჯდომარედ.

ამხ. გ. ა. ათარბეგოვი.

ამხ. ათარბეგოვი დაიბადა 1891 წელს ეჩმიაძინში.

ჯერ კიდევ ბავშობაში ის განიცდიდა გაჭირვებას. დიდი შრომის შემდეგ მან დასრულა საშუალო სასწავლებელი.

1905 წლიდან ის იწყებს უკვე რევოლიუციონურ მუშაობას, რის გამოც არა ერთხელ განუცდია დევნა მეფის მთავრობისაგან.

სამოქალაქო ომის ხანაში მას მოუხდა მრავალ. საპასუხისმგებლო ადგილზე მუშაობა.

ამხ. შპილი.

ამხ. სალარაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პიონერებს

ᲣᲤᲝᲠᲐ მეტია მოსახდელი
ჩაგრულ ხალხთა წინაშე ვალი,
ვიდრე იბრძოლო ცეცხლის ქარში
და სისხლი ღვარო!
მაგრამ ტკბილია,
როცა შრომით დაუღალავით
მიაღწევ მიზანს,
რომ ცა წითლად ააელვარო...
იცოდეთ, რომ თქვენ
მოგონებთ ყველას ვარდის გზას,
სადაც ეკლებიც მრავალი გვხვდება;
დღეს მზე წითელი, სიყვარულად გადაქცეული,
ყველა მომზეებს
სულში ძვირფას მალამოდ სწვდება...
თქვენი ახალი გამობრწყინა
წითელ ფერებში
არის დამარხვა
მარად მტანჯველ საუკუნების...
გადასდგავთ ნაბიჯს
გამარჯვების მქუხარე ხმებში
და თქვენს მამების
სისხლის დროშებს ჩაეკონებით..
მაშინ ბრძოლაში დაკარგულით
მსხვერპლით მრავალით,
ჩაქუჩს აზიდულს
შეგგებებთ ნათელ მზიან დარს,
დაამსხვრევთ კერპებს,
რითაც ჩაგრულთ იმონებდა
ურცხვი მტარვალი,
და თქვენ პირველი ჩამორეკავთ
მშრომელ ხალხის დიდების ხარს...
უფრო ძნელია მოიხადო
ჩაგრულ ხალხთა წინაშე ვალი,
ვიდრე იბრძოლო ცეცხლის ქარში
და სისხლი ღვარო!
მაგრამ ტკბილია,
როცა შრომით დაუღალავით
მიაღწევ მიზანს,
რომ ცა წითლად ააელვარო..

ე. პოლუმ.ორდვინოვი.

წითელი საქართველო

ეს მუშების ქვეყანაა
მუშა-გლეხის ანაშენი,
შრომის სუნთქვის მძლე ხანაა
წითელ სხივით დანამშვენი.

—

შრომის ქარა, მზის ბორბალი
ეს წითელი საქართველო!..
ახალ ყოფის ფეთქავს ალი,
შრომის შეილთა სამფლობელო.

—

შრომის კერა აქ კიაფობს
მუშა, გლეხი აქ მზე — დარობს,
აქ ერთობა კლდეს მიაპობს,
ყველა შრომობს, ყველა ხარობს.

—

და აქ წითელ დროშის ფრიალს
ვერ დაკლებს ვერას მტერი,
აფეთქებას, მიხთა გრიალს
ივეშებს ის, ნაცარ — მტვერი.

—

შრომის კერა მძლედ იაფობს,
აქ მშრომელი ერთობ დარობს,
სლის ბორბალი კლდეს მიაპობს,
ყველა შრომის დარით ხარობს.

მ. გოგიაშვილი.

ცენტრ. კომიტ. ქალთა განყოფილება.
პირველ რიგში შუაზე ზის ამხ. **მარიამ ორახელაშვილი.**

ქალთა საერთაშორისო დღესასწაული

8 მარტი მსოფლიო ქალთა დღესასწაულია. მისი შემოღება დადგენილ იქნა 1910 წელში მსოფლიო ქალთა კონგრესზე—ამხ. კლარა ცეტკინას წინადადებით.

რისთვის იქნა შემოღებული ეს დღე?

მუშა ქალებს მთელ მსოფლიოში საერთო ინტერესები ამოძრავებს. მუშა და გლეხ ქალთა განთავისუფლება მოხდება მხოლოდ კომუნისტურ წესწყობილების დროს. ამიტომ ქალებმა ხელი-ხელ ჩაკიდებული ბრძოლა უნდა აწარმოონ მამაკაცებთან, მუშათა კლასთან და მის პარტიებთან ერთად. ქალთა განთავისუფლება მოხდება მუშათა კლასის გამარჯვებასთან ერთად, რის გამოც ქალთა მოძრაობა მჭიდროდ უნდა დაუკავშირდეს მსოფლიო მუშათა კლასის მოძრაობას.

8 მარტის დღესასწაულის მიზანია ამოძრაოს მუშა ქალები, გამოაფხიზლოს საუკუნეებით მონობაში მყოფი გლეხი ქალები, ჩამორჩენილ ერთად მშრომელი დედაკაცები, და ჩაბას ისინი საერთო განმათავისუფლებელ ფრონტში. ქალები უნდა დაირაზმონ ორგანიზაციულად,—მხოლოდ მაშინ გაუწევენ ისინი დახმარებას თავის მომქე მუშებს.

8 მარტის საზეიმო დღე არის საერთო პროლეტარული დღესასწაული, იგია მსოფლიო მშრომელ ქალთა განთავისუფლების საზეიმო დღე.

კლარა ცეტკინა

8 მარტის დღე დასავლეთ ევროპის და ამერიკის მუშა-გლეხ ქალთათვის მობილიზაციის. ძალაუფლების მოსაპოვებლად მზადებისა და დიქტატურის დამყარების დღეა. ამ საზეიმო დღეს ევროპის და ამერიკის მშრომელი ქალები გამოვლენ ქუჩაში და ყველა ქალაქებში, მთელი ქვეყნის უთვალავ კუთხეებსა და ადგილებში შეიკრიბებიან წითელი დროშის გარშემო. ამ დროს მშრომელი ქალები აღარ მოგვგონებენ სუსტ, მორცხვ, დაჩაგრულ-დამონავებულ ნაწილს კაცობრიობისა, არამედ ისინი ირაზმებიან როგორც მებრძოლები, როგორც ერთი მოწინავე რაზმთაგანი თავიანთ მჩაგვრელების წინააღმდეგ.

სულ სხვაა რვა მარტი საბჭოთა რესპუბლიკების კავშირში. აქ რვა მარტს საბჭოთა მუშურ-გლეხურ ხელისუფლების ქალები მთელ მსოფლიოს დაანახვებენ, რომ ქალთა მდგომარეობის მოგვარება შესძლო მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ. 8 მარტს საბჭოთა კავშირის ქალები მიუთითებენ დასავლეთ ევროპის მუშა ქალებს განთავისუფლების იმ სწორ გზაზე, რომლითაც მიდის კომუნისტური პარტია და საბჭოთა ხელისუფლება. რვა მარტს საბჭოთა კავშირის ქალები ერთხელ კიდევ დაანახვებენ დასავლეთ ევროპის და ამერიკის ბურჟუაზიას, რომ ისინი მუშათა კლასთან ერთად ლენინის დროშის ქვეშ მდგომნი იბრძვიან კომუნიზმისათვის.

ვასო შ.

გაზაფხული.

გაზაფხულდა!..

ზამთრის ლეკა ლრუბლებმა ვეღარ გაუძლეს ცხრათვალა მზის გაელვარებულ სხივების სიმწვავეს, შეიშუშნენ, შეკუთენ და სამოდამოდ დამარცხებულნი, ძალგამოლეულნი ცის უზომო სივრცეში გადაიკარგნენ...

გაზაფხულდა!..

მზე თავისუფლად დასცურავს ცის კამადონზე და გულუბვად აფრქვევს თავის ოქროსფერ სხივებს ზამთრისაგან დამზრალ, ტანჯულ დედამიწაზე.

გაზაფხულია!..

სიცოცხლის ნექტარი ჩაეწვეთა ყოველ სულდგმულს... ენა ჩაედგა, ამბაურდა... თითქოს უსულოთაც სული შთაედგათ...

ყინულის ბორკილი შეიხსნა კლდის ნაჟურმა ანკარა წყარომ, თავისუფლად გადმოჩუხჩუხებს მაღალ კლდიდან, კენჭებს თავს ეკლეკა და თავის ალმასისებურ ნაშხეფებს უხვად აცრემლებს თავის ნაპირებზე რიგ-რიგად ჩამწკრივებულ ფერად ყვავილებს... უკანასკნელნი საამურად ირხევიან და მადლობის ნიშნად მდაბლად თავს უკრავენ თავის სულის შთამდგმელს ცელქ წყაროს, და ირგვლივ საამურ სურნელებას ავრცელებენ...

გაზაფხულია!..

ცის სივრცეში ანცი, კუდმაკრატელა მერცხალი მარდად სრიალებს, მუსრს აკლებს მავნე ჭია-ღუებს და სასიამოვნო წკრიალა ხმით გადმოსკეკეკებს აფერადებულ არემარეს...

მინდვრად ტოროლა მზის სხივებს აჭყეტ, ავიდა ზეკით, ზეკით, თვალი გადაავლო ძირს ფართედ გადაპენილ ხავერდოვან ჯეჯილებს და თავისი ნაზი, კეთილხმოვანი სიმღერა ჩამოაწკრიალა...

კოხტა, ედემის მსგავს ბაღში მდგომ ალისფერ ვარდის ბუჩქში შემჯდარა ვარდთ არშიყი, შეყვარებულთა იმედი და ნუგეში, ხანანარანა, ხმაუსწორო ბულბული და თავდავიწყებით უსტვენს, უგალობს გარშემორტყმულ ვარდ-ყვავილებს, რომელნიც გარინდებულნი, ფიქრებში წასულნი უსმენენ, არ სუნდებათ...

გაზაფხულია!..

ფართედ გაიღო სოფლად საბძელ-მოსლების კარები... ზამთრისაგან დახუთულ საქონელს გული სიამით აევსო... კუნტრუშით ჭამოინავარდეს სუფთა ჰაერზე და მზის მაცოცხლებელ სხივებს შეეგებენ... ვანომ სახრეს ხელი მოჰკიდა და გაირეკა საქონელი მინდვრად...

მიდის ორღობეში, გული სიხარულით ევსება და გულწარმტაც გლეხურ სიმღერას აწკრიალებს...

მინდვრებიდანაც განუწყვეტლივ მოისმის გლეხის ურმული, ოროველა... ქვეყნის მკვიბავმა კვლავ ძალა მოიკრიბა და მედგრად უსერავს გულ-მკერდს მადლიერ შავს დედამიწას... სწამს, ტყეილად ამაგი არ დაეკარგება...

გაზაფხულია!..

სულიერი და უსულო, დიდი და პატარა ყველა ხარობს, ნეტარებას მისცემია... გულში მტკიცედ იკრავენ მზის მაცოცხლებელ ოქროსფერ სხივებს... თავისუფლად სუნთქავს არემარე...

ბუნების საერთო ბგერაში გარკვეულად გამოისმის სასიხარულო ძახილი:

„გაზაფხულდა, გაზაფხულდა,
ეს დრო ნიმლავს ჩვენსა გულსა;
ქება ვუძღვნათ და დიდება
ჩვენს საყვარელ გაზაფხულსა!..

დ.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

შავი გედი

ეს მოხდა წინეთ, ეს მოხდა ოდესღაც... ქვეყნის იმ ნაწილში, სადაც ყველაფერი უკეღია.

მაშინ, როდესაც ჩვენში ზამთარია და ჰყინავს, იქ მხურვალე, მშრალი ზაფხულია, და როდესაც აქ ზაფხულია,—იქ ორს-სამს მაღალ მთის მწვერვალზე თოვლი მოჩანს. იქ მხეცები კვერცხს სდებენ, იქ ფრინველები სათმაშოდ ფაკხას იკეთებენ, იქ იხვები ხეებზე სხედან და ბატებს ქათმის ნისკარტები აქვთ. იქ გედები შავია.

ქვეყნის ამ ნაწილს ჰქვია ავსტრალია.

ავსტრალიაში ცოტა მდინარეებია და ისინიც ხშირად შრებიან, უფრო მეტად წყლის განმავლობაში მათი კალაპოტი ისევე მშრალია, როგორც ირგვლივ მყოფი ნიადაგი; მხოლოდ ზოგიერთი ჩაღრმავებულ ადგილას, ორმოებში წყალი მუდმივ ინახება.

უფრო ნაკლებად შეხვდებით ავსტრალიაში ტბებს და ჭაობებს. ევროპიდან ტბა, აი, როგორიცაა რუსეთში ლადოგის ტბა, ავსტრალიაში სრულიად არ მოიპოვება. არის პატარ-პატარა ტბები და ჭაობები, რომელთაგან უმრავლესობა სრულებით ამოშრება ხოლმე, ხოლო რამოდენიმე წლის განმავლობაში ისინი ხელახლა ივსებიან წვიმების საშუალებით.

მიუხედავად ამისა, ამ დროებით ტბებზე მრავალი ცხოველი ცხოვრობს. ავსტრალიაში წყალი ძვირფას საგანს წარმოადგენს.

როგორც რუსეთის წყლებზე თეთრი გედები თავის სიდიდით და სილამაზით უპირველეს ფრინველს წარმოადგენენ, ისევე ავსტრალიაში შავი გედები ტბების, მდინარეების და ჭაობების დამამშვენებელი არიან.

სიდიდით და ანაგობით შავი გედი ცოტად განსხვავდება თეთრი გედისაგან. კისერი, მართალია, უფრო გრძელი აქვს. თვითონაც უფრო პატარაა, მაგრამ ნისკარტზე ამოწეული ადგილი არა აქვს, აი, მაგალითად, როგორც ჩვენს გედს. შავი გედის ნისკარტი ღია წითელი ფერისაა, და ბოლოზე კი თეთრი ზოლია. ბუმბული სულ მთლად შავია, მხოლოდ ფრთის ბოლოები სუფთა, თეთრი ფერისაა. ფეხები შავი აქვს.

ბევრს შავი გედი უფრო მოსწონს, ვიდრე თეთრი. ამბობენ, შავი გედი უფრო ლამაზი, წერწეტა და მჩატეაო. მისი შავი ფერი უფრო აშკარად ჩანს წყალზე, ვიდრე ჩვენი გედის სითეთრე.

მისი ყოფაქცევა და ცხოვრება ძალიან წაგავს ჩვენი გედებისას.

შავ გედს უყვარს მდინარის წყნარი ადგილები, ტბები და ჭაობები ბალახით მოფენილ დაბალ ნაპირებით.

ღრმა ადგილებს გედი უფრთხილდება: წყალში ყვინთავ მან არ იცის, საკვებს კი იღებს წყლიდან თავის გრძელ კისრის საშუალებით.

წყლის მცენარეები, ფესვები, მწერები, ლოკოკინები და ბაყაყი თევზები—აი რითი იკვებება ის.

პატარა ჭაობი ან ტბა, სადაც ცოტაა წყლის მცენარეები, ვერ აძღვევს საკმაო საკვებ მასალას ისეთ დიდ ფრინველს, როგორიც არის შავი გედი. ამას გარდა, პატარა წყლები ხშირად შრება ზაფხულის ცხელი ამინდის დროს.

ყველა ამგვარი დაბრკოლებები აიძულებენ შავ გედებს, იცხოვრონ ისეთ ადგილას,—ასეთი ადგილები კი ცოტაა,—სადაც საკმაოდ მოიპოვება საჭმელი, და ბუდის მოსაწყობადაც გამოსადეგია.

რუსეთში თეთრ გედებს ვხვდებით ხშირად ხშირად სამხრეთ ნაწილში, სადაც ბევრი ტბა და ჭაობია. ისინი ცხოვრობენ აგრეთვე—თუმცა ძალიან ცოტა—ყირიმში და კასპის ზღვის ახლო. რუსეთის სხვა მხარეებში მათ ვერ შეხვდებით.

ავსტრალიაშიაც ბევრს ადგილას ისინი სრულებით არ მოიპოვებიან. მაგრამ სადაც კი მათთვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოსადეგი ადგილია, იქ ძალიან მეცრი გედი ცხოვრობს.

ახლა ცოტაღა დარჩა ამგვარი ადგილები.

ჭაობები, ტბები და ნდნარის წყნარი ადგილები ახლაც ბლომად მოიპოვება, მაგრამ შავი ლომაზები აღარ არიან იქ, სადაც თეთრი ადამიანი დამინავდა.

თეთრი ადამიანის ავსტრალიაში მისვლამდის (ასე, 150 წლის წინად) შავ გედებს ცოტა მტერი ჰყავდათ.

ავსტრალიის გრძელკუდა არწივი ისეთს დიდ და ღონიერ ფრინველს, როგორიც არის შავი გედი, ძნელად თუ რასმე მოუხერხებდა.

იშვიათად თუ ფრინავს შავი გედი. მიწიდან აფრენა ეძნელება და წყლიდანაც ვერ აფრინდება ერთბაშად.

მაგრამ მოშორდებიან თუ არა დედამიწას შავი გედები, მათი ფრენა ძალიან სწრაფია. იყო ისეთი შემთხვევები ასეთ იშვიათ გადაფრენის დროს, რომ რომელიმე დაღლილ-დაქანცული ახალგაზრდა გედი ჩამორჩებოდა თანამომქმეთ გუნდს და არწივის ლუკმა ხდებოდა.

მაგრამ შავი გედი მაინც არ წარმოადგენს ავსტრალიის გრძელკუდა არწივის ლუკმას; ეს არწივები უფრო პატარებია, ვიდრე რუსეთის „ბერკუტები“.

არ აშინებსთ აგრეთვე მათ ყველაზე საშინელი ოთხფეხა მტაცებელი ავსტრალიისა—დინგო (ველური ძაღლი).

გედი დროის უმეტეს ნაწილს წყალში ატარებს, დინგო კი ხვლეთზეა საშიში. აგრეთვე ზიანს ვერ აყენებს იგი მათ ბუდეს: შავი გედი ჰბუდობენ კუნძულებზე ან იმგვარ ჭაობიან ადგილებში, სადაც დინგოსთვის სიარული სახიფათოა.

დიდ ზიანს აყენებენ მათ ველურები: კვერცხების გაპარეკის დროს ისინი ჩნდებიან იმ ადგილებში, სადაც ჰბუდობენ გედები, და დაიტბენენ და ერთმეორეს მათ კვერცხებს.

შავკანიანთა ამგვარი თავდასხმაც ცოტა ზიანს აყენებს მათ და არ ამცირებს გედების რიცხვს: ველურები ცუდი მოკურავენი არიან, ნაფები არა აქვთ; ძალიან იშვიათად თუ არის მათში ისეთი, რომელსაც შეუძლია ბაკეთოს ეკალიპტუსის ქერქიდან საკოდავი ნავი მდინარეზე გადასაცურავად. ამიტომ ისინი სცარცავენ მხოლოდ იმ ბუდეებს, რომელნიც ნაპრის ახლოა და რომელთანაც მიღწევა შეუძლიათ.

თეთრკანიანთა დასახლებისთანავე ავსტრალიაში ცხოვრება სულ სხვანაგად შეიცვალა, სახიფათო გახდა არა მარტო შავი გედებისათვის, არამედ ყველა იქ მყოფ მცხოვრებთათვის, თეთრ-შავკანიანთათვისაც კი.

თეთრები ჰბედავდენ შავ გედებში ვეებერთელა ხორცის ნაჭრებს, რომლის შეძენა, თოფის საშუალებით, ადვილ საქმეს წარმოადგენდა.

გედები ძალიან გულუბრყვილო იყვნენ. ადამიანთა მოახლოვების დროს კი არ ფიროენდებოდენ ხოლმე, ისინი მხოლოდ უფრო შორს გასცურდებოდენ, რომ გამოსროლილ ბუმერანგებს *) არ მიეღწია.

მაგრამ თეთრი ადამიანები ბუმერანგს კი არ ესროდენ, ისინი ცხელ ტყვიას ესროდენ გედებს. ტყვია ბუმერანგზე შორს მიდიოდა და უფრო ხმიოად ჰკლავდა.

თეთრები ჰკლავდენ გედებს ათობით, ისინი დასდევდენ მათ ნავებით.

იშვიათად თუ რჩებოდა თეთრების ნადირობის შემდეგ ერთი ან ორი გედი მდინარის წყნარ ნაპირებში: მათ სიდიდე და ფერი არ აძლევდა მათ ბალაზში ისე კარგად დამალვის საშუალებას, როგორც ეს წყლის-ქათმებს ან იხვებს ეხერხებოდათ.

და თეთრკანიანთა ნავები ივსებოდა მოკლულ ფრინველეებით.

თეთრკანიანები ჯერ დასახლდენ ავსტრალიის ზღვის ნაპირებთან, შემდეგ თანდათან მიდიოდენ ცენტრისაკენ, და იქ სახლდებოდენ ასე რომ შავი გედებიც იძულებით უახლოვდებოდენ შუაგულ ავსტოალიას.

არა მარტო გედები მიდიოდენ ზღვის ნაპირებიდან იძულებით, ოთაქედ შავკანიანებიც.

ზღვისაგან დაშორებით კი ცოტა იყო მდინარეები და ტბები. ისინი გამოუადეგარიც იყვნენ ბუდობისთვის. აქ ბუდეებიც ადვილად უვარდებოდათ ხელთ ველურ შავკანიანებს.

გარდა ამისა, შავკანიანებს შეუტიცრდათ ისეთი სანადირო ადგილები, სადაც მოიპოვებოდა დიდი კენგურუ, ემუ, კვუანა, და ამიტომ ახლა ისინი უფრო მეტ ყურადღებით დაიქბენენ გედების კვერცხებს.

თარგ. დ. ან—ძე.

(დასასრული იქნება)

---

*) ბუმერანგი—მოკაკული, წვრილი, წვეტიანი ჯოხი, რომელიც გასროლის დროს ტრიალებს და თანდათან უმატებს ტრიალს. თუკი მიზანს აცილდა, ბუმერანგი წრეს აკეთებს და ბრუნდება იმ ადგილს, საიდანაც ადამიანმა გაისროლა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ადამიანის ბინის ისტორია

ახლა ჩვენთვის წარმოუდგენელია, რომ ადამიანმა უსახლოდ იცოვროს.

უწინ კი, სულ უძველეს დროს, იგი ბარეულ მხეცივით ცხოვრობდა ცის ქვეშ, გამოქვაბულებში ან ხის ფუღუროებში.

როდესაც ადამიანი სავსებით ველური იყო, მაშინაც კი ბინის მოთხოვნილება ჰქონდა.

უბრალო მხეცსაც კი აქვს საცხოვრებელი ადგილი, სადაც თავს იფარავს საფრთხისაგან და მალავს თავის შვილებს.

ამგვარივე საცხოვრებელი, სადაც საფრთხესა და ავდარს გადაურჩებოდა, სჭირდებოდა უძველეს დროის ადამიანს, და რადგანაც იმ დროს ადამიანი სავსებით მხეცს წაგავდა, მისი საცხოვრებელიც მხეცური იყო.

ველური ადამიანების გამოქვაბულები.

უწინდელი ველური ხალხი, როგორც ახლანდელი ველური, უმთავრესად სარგებლობდა გამოქვაბულებით, ხის ფუღუროებით და ფართე ტოტებით. დედამიწაზე ძალიან ბევრ ადგილას ორის დღემდის მოწეული უძველესი დროის ადამიანის გამოქვაბულები.

ეტყობა, რომ ამ გამოქვაბულების მცხოვრებლებმა უკვე იცოდნენ ცეცხლის დანთება—კვეს-ობა დის, ან ორი ხმელი ხის ხახუნის საშუალებით.

იარაღს ქვისგან აკეთებდნენ იმიტომ, რომ რკინის და სპილენძის ხმარება მათ ჯერ კიდევ არ იცოდნენ.

ამ გამოქვაბულებში მეცნიერებმა იპოვეს: ადამიანთა ჩონჩხი, მოამწვარი ძვლები იმ ცხოველების, რომლითაც იკვებებოდა მაშინდელი ადამიანი და აგრეთვე ამ ადამიანის იარაღები.

უძველესი დროის ადამიანთა გამოქვაბულები მთებში ჩნდებოდა წყლის ზეგავლენით. უძველესი ადამიანი ქვეშ იგებდა მხეცების ბურკებს, რომელზედაც ეძინა, და ანთებდა კოცონს გამოსასვლელში, რომ ველური მხეცები დაეფრთხო.

გარეგნულად ამგვარი ბინა ველური და ულამაზო იყო. სრულებით არ წაგავდა ის ადამიანის საცხოვრებელს.

მაშასადამე, პირველყოფილი ადამიანი კი არ აშენებდა ბინას, არამედ სარგებლობდა იმისთანა საცხოვრებელი ბინით, რანაირსაც მას ბუნება აძლევდა. მიუხედავად ამისა, უძველესი დროის ადამიანი, ველური მხეცის ქურქში გახვეული და ქვის იარაღით ხელში, ძალიან აფასებდა და უყვარდა თავის ბინას.

მრავალი გამოქვაბული შიგნიდან შეღებილია მიხაკისფრად და ბევრგან კედლებზე დახატულია მაშინდელი სპილოები, ირმები, დათვები და სხვა მხეცები, აგრეთვე ფრინველებიც. ასე რთავდა და ალამაზებდა ადამიანი თავის საცხოვრებელ ბინას.

ცხელ ქვეყნებში, სადაც ხეები უზარმაზარი და მსხვილი იყო, ველური ხალხი თავის საცხოვრებელ ბინას იკეთებდა უზარმაზარ ხის ფუღუროებ-

ში ან ტოტებზე, სადაც ბუდის მსგავს ბინას გაიკეთებდა, სახურავად კი ფოთლებს და გადახლართულ ტოტებს ხმარობდა. ბუნების მიერ შექმნილმა საცხოვრებელმა ბინამ ხელი შეუწყო ველური ადამიანის განვითარებას.

ადამიანის ბინა შემდგომ გაუმჯობესდა; ადამიანმა თანდათანობით დაიწყო ბინის აშენება და

გაუმჯობესებული გამოქვაბული.

პატარ-პატარა შემატებით უბრალო სახლი გაიკეთა. ამ სახლის გაკეთების აზრი მას გამოქვაბულმა ან კიდევ ფუღურომ მისცა.

ჯერ ჯერობით ვილაპარაკოთ ქვის საცხოვრებლებზე. პირველი სახის ქვის სახლები წარმოდგა გამოქვაბულებისაგან. ადამიანმა, რომელიც ცოტა-ოდნად მაინც ჩამოშორდა მხეცურ ცხოვრებას, გაუმჯობესა თავისი ბინა. სულ მუდამ გაღებული გამოქვაბული მას აღარ აკმაყოფილებდა. გამოქვაბულს სამი კედელი უკვე ჰქონდა, საჭირო იყო მეოთხე კედლის აშენება. ადამიანმა მოაგროვა ქვები, დაიწყო ზედიზედ ერთმანეთს – კედლისათვის—და დასტოვა ცარიელი ადგილები ფანჯრებისა და კარებისათვის.

ასე აშენებდენ სახლებს უძველესი ეგვიპტელები, სადაც ჰაეა მშრალი და ცხელი იყო.

კედლის ქუჩრუტანები სრულებით არ აფრთხობდა მათ. და აი ბოლოს გამოქვაბულმა მიიღო ადამიანის სახლის სახე.

უძველესი დროის ადამიანი თავის ბინას ძალიან ეჩვევა. თუკი ვერ პოულობს სათანადო გამოქვაბულს, მაშინ იგი თვითონ სთხრის მას მთის კალთაზე და შემ. ეგ აშენებს მეოთხე კედელს! ჩვენში მთიულები ახლაც აშენებენ ამგვარ სახლებს, რომელსაც მიწური ჰქვია. უბრალო გამოქვაბულებში კი ახლა მხოლოდ მწყემსები ბინადრობენ და ისიც დროგამოშვებით.

მიწურს ასე აშენებენ: ჯერ ამოარჩევენ მთის ფერდობზე გამოსადეგ ადგილს, ამოსთხრიან მიწას და მიღებულ ხელოვნურ გამოქვაბულს უშენებენ ქვებისაგან მეოთხე კედელს ერთი კარით.

მიწურში კედლები მიწისგან არის და რომ ეგენი არ ჩამოწვეს, მას ქვებით გამოაშენებენ. ბალღა, ფიცრებისაგან გაკეთებულ ჭერში, საკვამლე ნახვრეტია. ასეთ ბინაში სინათლე კარებიდან და საკვამლედან შედის. კედლებთან მოგრძო ტახტია, გადაფარებულია ქეჩით, რომელზედაც ძინებენ. ამგვარ მიწურს შეხვდებით ყირიმში, სირიაში, პალესტინაში და ეგვიპტეში.

ამა თუ იმ მიზეზის გამო ბარში ჩამოსული მთიულები საცხოვრებლად მაინც მიწურს იშენებენ. მართალია, ბარში ქვები არ არის, მაგრამ ისინი შიგ მიწაში იკეთებენ ბინას. ამიერ-კავკასიაში ზოგიერთი ხალხებიც იშენებენ ამგვარ ბინებს: ამოთხრიან ორმოს კედლებზე ამოაშენებენ ქვებს, კუთხეებში სდგამენ მუხის ბოძებს, ამ ბოძებზე ძელებს, ამაზე კიდევ მომსხო გრძელი ლატანის ტოტებს და ზევიდან მიწას ყრიან, შუაში კი საკვამლეს სტოვებენ.

ამგვარ მიწურს ამერიკაში კალიფორნიელი ინდოელები აშენებენ. ისინი ორმოს ორნახევარ არშინის სიღრმეზე და საყენნახევრის სიგანეზე სთხრიან, სახურავად კი ჭოლოკებს ხმარობენ.



ბოძებზე აშენებული სახლი.

აი ასე აშენებს ხელოვნურ სახლებს ადამიანი, რომელიც უწინ მთის გამოქვაბულებში სცხოვრობდა. ტყეში მცხოვრები ხალხი კი ბინას სულ სხვანაირად აშენებდა. ცხელ ქვეყნებში, გაუვალ ტყეებში, ველური ადამიანი შოულობს სურსათს, ტანსაცმელს, ბინას და ყველაფერს, რაც კი ცხოვრებისათვის აუცილებელია. მაგრამ არ დაგვიწყდესთ, რომ ამ ტაუვალ ტყეებში მრავალი გარეული მხეცია, და ნარატო მიწა ბნრად ჭაობიანია; ამიტომ ტყის ადამიანმა სულ უძველეს დროს დასაძინებლად ფ. სურსათის შესანახად ამოარჩია კარგი, ფართე ფუღურო ან მორნა წყნელებისაგან და ხის ტოტებზე მოათავსა თავისი საწოლი.

ტყის ადამიანი მშვენივრად ცოცავდა, როგორც მაიმუნი, ამიტომ მას ხეზე ცხოვრება არ ეძნელებოდა. ახლაც არის მთელი სოფლები ხეებზე ამგვარად მოთავსებული. ასეთ „სოფლში“ ათი ან უფრო მეტი სახლია. ველურები დაწნულ იატაკს უკეთებენ ჭერს. სახლებს შორის არის ხის ტოტებისაგან დაწნული ხიდები. ხშირად მიმოსვლა მათ შორის ხის კიბეების საშუალებით წარმოებს. ღამე ამ კიბეებს ხსნიან.

ტყის ხალხი ველზე ან კუნძულზე გადასახლების შემდგომაც ინარჩუნებს თავის გარეგნობას. ის ტყის მცხოვრებები, რომელნიც თევზაობით იკვებებოდენ, მაგრამ სახლდებოდენ იმ ადგილს, სადაც საშში გარეული მხეცები იყვნენ, ხელოვნურად აშენებდენ ტყეს: არჩობდენ წყალში სარებს, მასზე ამაგრებდენ დაწნულ იატაკს და ამ იატაკზე აშენებდენ ფაცხებს ანდა მხოლოდ სახურავებს უკეთებდენ—წვიმისაგან დასაცავად. ისინი აკეთებდენ ხის ქერქისაგან ნაიებს და თითქმის სულ მუდამ წყალში იმყოფებდენ.

იმ კუნძულებზე კი, სადაც არ მოიპოვებოდენ გარეული მხეცები, სადად ეწყობოდენ. მათ არ ესაჭიროებოდათ ხეზე სახლის აგება და ამიტომ ქმაყოფილდებოდენ უბრალო ლატანის სახურავით, რომელიც ფურცლებით იყო მოფენილი.

ხშირად უფრო განვითარებული ველურები ამგვარ სახურავიან სახლებს უმატებდენ წკნელისაგან დაწნულ კედლებს და ფაცხის მსგავსი ბინა გამოდიოდა.

ბოძებიან სახლების სოფელი.

იმ ხალხს, რომელიც გადასახლებისა და ხეტიალში ატარებდა დროს, მუდმივი ბინა არ მოეპოვებოდა; მათი სახლი პაწია ფაცხა იყო, რომელსაც იგი ყოველ ახალ ადგილს იკეთებდა. ახლაც მოიპოვება ამგვარი ფაცხები.

ფარდული.

ამგვარი სახლი-ფაცხები ძალიან ადვილი გასაკეთებელი არის. მას სწნავენ ტოტებისაგან, ფურ-



სახლები—ფაცხები.

ცლებისაგან ან მცენარეთა ღეროებისაგან, ცხელ ქვეყნებში კი ბალმისაგან, რომლის ფურცლები ძალიან მაგარია და სიგრძით ერთ საჟენამდის არის.

მაწისა და თოვლის სახლები.

ეი ასე ეწყობა ადამიანი თბილ ან ცხელ ქვეყნებში, სადაც საცხოვრებელ ბინას აშენებს გამოქვაბულებებისა და დაწნულ ფაცხების მსგავსად. მაგრამ რაც უფრო შორდებოდა იგი თბილ ჰავას და უახლოვდებოდა ცივ ქვეყნებს, მით უფრო უძნელდებოდა საშმლისა და ტანსაცმლის შოვნა, მეტი შრომა სჭირდებოდა საცხოვრებელ ბინის ასაგებად.

თავისთავად ცხადია, რომ მათი საცხოვრებელი ბინა არ წაავავდა ჩვენს სახლებს.

ცივ ქვეყნებში ადამიანმა უნდა იზრუნოს არა მარტო იმაზე, თუ როგორ ააშენოს საცხოვრებელი ბინა, არა ედ იმაზედაც, თუ რისაგან ააშენოს.

ჩრდილო ამერიკის მონადირეები და ავრეთვე ესკიმოსები, რომ ლტაც ბედმა ჩრდილოეთის თოვლიანი უთაბნოებ ბრგუნა, იკვებებიან თევზაობით, სელაპზე, ვეშაპზე და ლომთევზზე ნადირობით. ივლისში იქ მზე ღღე-ღამ ანათებს, ამიტომ რომ ამ დროს იმ ადგილებში სრულიად არ ჩადის. მა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრამ აგვისტოდან იწყება სიცივეები, დღეები თანდათან მოკლდება, ბოლოს, მზე გამოჩნდება თუ არა, იმ წამსვე ჩაესვენება. ზამთარში—ოქტომბრიდან იანვარამდის—მზე სრულებით ადარ ჩანს და დგება შეუწყვეტელი სიბნელე, ღამე.



თოვლის სახლი.

ამ მკაცრ ქვეყანაში ვერც ხეებს და ვერც ბუჩქებს ვერ შეხვდებით; არის მხოლოდ ბალახი ან ხავსი, რომელიც სქლად გაყინულ თოვლ ქვეშ იმყოფება. ყინვა ორმოც ან ორმოცდაათ გრადუსამდე აღის. ასეთი პირობები საშიშია ადამიანისათვის, მაგრამ მას მაინც ეხერხება ბინის აშენება, მაგალითად, ესკიმოსები სხარიან გაყინულ მიწაში ერთი საგენის სიღრმეზე ორმოს, მერმე აშენებენ ვეშაპის ძელებისაგან, რომელიც შეკრულია სელაპის ტყავის ღვედებით. ვეშაპის წიბოებისაგან აკეთებენ სახურავს, ამ სახურავზე აყრიან მიწას: მხოლოდ ერთ ადგილას აკეთებენ საკვამლეს, რომელიც, როცა კვამლი არ არის, ბუშტით იკარება.

ამგვარ ქოხის გვერდით სხარიან მეორე ორმოს, რომელიც შეერთებულია მიწის ქვეშ ვიწრო გასავლით ამ ქოხთან. ამ გასავალში მარტო ფოფხვა შეიძლება. შესასვლელი ირმო ირგვლივ ფარებით არის დაფარული, რომ თოვლმა გზა არ შეჭკრას, ე. ი. არ დაჰფაროს. შეშის უქონლობის გამო ბინას ისინი ათბობენ და ანათებენ უზარმაზარი ჭრაქებით. ამ ჭრაქში სელაპის ქონია და მას უკიდებენ ცეცხლს. წვის დროს ბინა ჭკარტლით იესება, მაგრამ სამაგიეროდ კარგად ანათებს და ათბობს.

ამგვარ ქოხებში ესკიმოსები ზამთარ—ზაფხულ ცხოვრობენ. როცა დასჭირდებათ გამგზავრება ზღვისაკენ სანადირიოდ, ისინი იძულებული ხდებიან აიშენონ ახალი ბინა, რომ ამ მკაცრმა სიცივემ არ გაჰყინოს ისინი.

აი როგორ იშენებენ სახლებს თოვლისაგან:

ირჩევენ ყინულიან სწორ ადგილს; ამ ადგილზე ხატავენ წრეს, მერე სჭრიან გაყინულ თოვლს პატარა ფიქლებად ანუ დიდ აგურებად და ამ წრეზე აშენებენ რგვალ კედელს. კედელი წაგავს გუმბათს. ყინულიან აგურებს შუა ჭუჭრუტანები თოვლით იგლესება, თოვლი ყინულად იქცევა და თითქმის გამჭირვალე სახლი გამოდის.

მაგიდა და სკამი დასაჯდომად ან დასაწოლად თოვლისაგან კეთდება და ირმის ან სელაპის ტყავებით იფარება.

ამგვარი სახლები ზაფხულამდე სძლებს, სანამ მათ მზე არ დაადნობს. ზამთარში კი ქოხში დანთებული ცეცხლი სრულიად არ ანებებს "სახლს", იმიტომ რომ გარედან სასტიკი ყინვაა.

უფრო ნაკლებ ყინულიან მხარეში, მაგალითად, იმავე ჩრდილო ამერიკაში, ველური ინდოელები აშენებენ საცხოვრებლებს, რომელიც ძალიან წაგავს ესკიმოსი.ა ქოხებს, მხოლოდ ისინი მიწისაგან აკეთებენ მათ. ისინი ამგვარივე წრის საშუალებით სხარიან ორმოს, შემდეგ ლატანით აშენებენ კედელს, რომელიც ჭერში გუმბათისებურია. შუა გუმბათში სტოვებენ ფართე, ცარიელ, რგვალ ადგილს: კვამლისათვის, აგრეთვე შესასვლელად ან გამოსასვლელად და ნინათლისათვის.



ინდოელის სახლი.

შესვლა-გამოსვლის გასაადვილებლად მიწიდან საკვამლემდე გაკეთებულია ხის კიბე, ხოლო შიგ ქობში ჩარჭობილია კიბის მაგვარი ბოძი. ინდოელი სახლში შესვლის დროს ჯერ აფოფხდება კიბეზე გუშმათის თავადის, შემდეგ გაძვრება საკვამლეში და ჩამოცოცდება იატაკზე ბოძის საშუალებით.

ჩვენ თუ კარგა დაკვირვებით შევესწავლით ადამიანთა საცხოვრებელ ბინებს, დაკვნახავთ და გვეცოდინება, თუ რა დროს ეკუთვნის ესა თუ ის ბინა და კიდევაც მოვხვდებით, თუ რას აკეთებდა, როგორ ცხოვრობდა უძველესი დროის ადამიანი გამოქვაბულებში, ფუღუროებში [illegible] ამ დროს ადამიანს თითქმის არ სჭირდებოდა შრომის გაწევა, ის სცხოვრობდა ბუნების სიმდიდრით. მაგრამ ისიც შრომობდა: ეს იყო ნადირობა ან თევზაობა. რასაკვირველია, ნადირობა ან თევზაობა იმ უძველეს დროსაც არ იყო ძალიან სასიამოვნო.

დ. ანთაძე.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)



აზუზუნდა შრომის ქორა,
აქორქოლდა საბერველი,
ახმაურდა ცეცხლის ფრქვევით
მიეარღნილი მთა და ველი.

—

მკლავში სისხლი სჩქეფს და ღელავს,
გამალებით სცემს ჩაქუჩი,
თითქოს ყოველ მის დაკვრაზე
შხამიც მოსდევს შენაქუჩი.

ჰა, სდეღს შრომა, ელავს ქუ-ა,
და გიზგიზებს ცეცხლის ალი,
იქედება პირმცინარე,
სხივმფინარე მომაკალი.

—

გრგვინავს გრდემლი, რეკს ლითონი,
საბერველიც დაქორქოლებს,
გამალებით სცემს ჩაქუჩი,
ღვედი სპინავს რკინის რგოლებს.

ი. ვაკელი.

ტფილისი
ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

განათლების სახალხო კომისარიატის სოციალურ აღზრდის მთავარმართველობის სალიტერატურო-სამხატვრო სექციის ხელმძღვანელობით გამოცემული წიგნების სია:

1.	„ნაკადული“ № 1 1924 წ.	თითო წიგ.	25 კ.
2.	„ № 2—3 1924 წ.	„ „	30 „
3.	„ № 4—5 1924	„ „	40 „
4.	„ № 6—7 1924	„ „	25 „
5.	წითელი სხივი №№ 1, 2—3, 4—5	„ „	40 „
6.	„ნაკადული“ 1921 წ. და 1922 წ. №№	„ „	25 „
7.	„ჯეჯილი“ 1921 წ. 1922 წ. 1923 წ. №№	„ „	40 „
8.	ნორჩი ქალა—კრებული	„ „	15 „
9	„სმი ამბავი“—შიო მღვიმელისა	„ „	10 „
10.	„კოკოტინა“—დ. დონდოსი.	„ „	10 „
11.	ბელა ბეკეკა“ „ „	„ „	10 „
12.	„შემოდგომა“—ფერადსურათებიანი წიგნი.	„ „	70 „
13.	„დედაბერი, ტურა და მელია კუდი-ვქელია„	„ „	50 „
14.	„ბავშვს“—ლექსები გ. ქურციშვილისა	„ „	20 „
15.	„ტყის ზღაპარი“—მამინ-სიბირიაკისა, თარგ.	„ „	20 „
16.	„ტყის სურათები“—შიო ღლვიმელისა	„ „	25 „
17.	„ჭინკელას საოცარი თავგადასავალი“	„ „	30 „
18.	„თვისტუფალ ბავშთა სიმღერები“	„ „	2 „
19.	„ქართული მოძრავი თამაშობანი“	„ „	80 „
20.	„ტროადის ომი“—ალ. მიქაბერიძისა	„ „	80 „
21.	„ბგავ-არაკანი“—ალ. მირანაშვილისა	„ „	30 „
22.	„სპბავშო პიესათა კრებული“	„ „	70 „
23.	„ივანე სულელი“—ზღაპარი, ლ. ტოლსტოისა	„ „	15 „
24.	„ლურჯი ფრინველი“	„ „	50 „
25.	მოძრავი თამაშობანი სიმღერებით—გოგლიჩიძისა	„ „	1 ს.
26.	ოდიუსის მეტამორფოზები, —ა. მიქაბერიძის	„ „	70 კ.
27.	„ზამთარი“—ფერადი სურათებით	„ „	50 „
28.	„ფძველესი დროის ბავშის თავგადასავალი“	„ „	45 „
29.	როგორ იცავენ თავს ცხოველები მტრისაგან“	„ „	25 „
30.	„გაზაფხული და ზაფხული“	„ „	90 „
31.	„რას გვიამბობს ოთახი“	„ „	20 „
32.	„ზოვის სიმდიდრე“	„ „	20 „
33.	პატარა იაპონელები—ფერადი ყდით	„ „	75 „
34.	კოკონთან—ჩვენი ძმები ყველგან ბრიან	„ „	10 „
35.	„ როგორ გვეტარეთ ზაფხული ბანაკში	„ „	15 „
36.	კომბლე—ზღაპარი ფერადი სურათებით	„ „	65 „
37.	სიზმრად და ცხადად	„ „	30 „
38.	პატარა იაპონელები, ფერადი ყდით	„ „	75 „
39.	კოკონთან—საუბარი მე-4	„ „	10 „

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

1925 წ.

გამოდის
უთვალთვალო საუმაღლესო დასურათებული
ყურნალები

მუზარდილთათვის **წითელი სხივი** წელიწადში 2

მცირეწლ. **ნაკადული** წელ: მე-XXI

ეურნალის გამომწერა ს. ს. ს. რესპუბლიკ. ყველა სკოლებისათვის საავალდებულოა.

ლენინის სახელოვნის საქართველოს გაერთა კომუნისტური ჯგუფების ყოველი წევრის, ორგანიზაციის ყოველი კოლექტივის, გაერთა კომუნისტური მოკრავების თვითეული ხელმძღვანელის, გიგლიო-თეკების და სამკითხველოე-ბის ვალდებულებაა გამოიწეროს

„წითელი სხივი"

და

„ნაკადული"

ხელის მოწერა მიიღება თვიურად

ცალკე	„წითელი სხივი"	45 კ.
„	„ნაკადული"	30 კ.

გადაგზავნა ხელის მომწერის ხარჯით

მისამართი: ტფილისი, რუსთაველის გამზირი № 31, განათლების სახალხო კომისარიატი. „წითელი სხივის" და „ნაკადულის" რედაქცია.

შეკ. № 1474 — ტირ. 3000.

რედაქტორი — სარედაქციო კოლეგია.